ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ

საქართველოს რესპუბლიკა

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1990 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ. № 74 (1090) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1995 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 200 000 ᲙᲣᲞᲝᲜᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲘᲡᲔᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ

ბუქარესტი, 1995 წლის 30 ივნისი

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ, ალბანეთის, ბულგარეთის, თურქეთის, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები შეიკრიბნენ ბუქარესტში 1995 წლის 30 ივნისს იმ მიზნით, რომ შეაფასონ შავი ზღვის რეგიონში მრავალმხრივი თანამშრომლობის შედეგები და განსაზღვრონ პრიორიტეტები მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის საერთო ინტერესების ყველა სფეროში.

1. მათ დაადასტურეს 1992 წლის 25 ივნისის სტამბოლის დეკლარაციის პრინციპები და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი თანამშრომლობა სულ უფრო სიცოცხლისუნარიან და კონსტრუქციულ კომპონენტად იქცევა ძალისხმევაში, რომლის მიზანია შავი ზღვის რეგიონში აყვავება, სტაბილიზაცია და მშვიდობა, ამავე დროს იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მონაწილე ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარების, მათი ევროპულ სტრუქტურებსა და მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის, რეგიონში ჭეშმარიტად ურთიერთგაგებისა და უსაფრთხოების კლიმატის შექმნისათვის.

2. მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს საგარეო საქმეთა მინისტრების და ბისეკში შემავალი სხვა ორგანოების, სახელმწიფო და კერძო ეკონომიკური და კომერციული დაწესებულებების შეხვედრებზე გაწეული მუშაობა ბისეკის მიზნების რეალიზაციისათვის. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის დაარსებას. ასევე მოიწონეს მონაწილე ქვეყნების აკადემიური წრეების მზადყოფნა ითანამშრომლონ იმისათვის, რომ გაზარდონ სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის და აკადემიური განზომილების ხვედრითი წილი ბისეკის ზონაში ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მისაღწევად.

3. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან დააჩქარონ შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნების რეალიზაცია, რათა გადაწყდეს სერიოზული სირთულეები, რომლებიც გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესით. მათ ახევე ყურადღება მიაპყრეს იმ არსებული პრობლემების გადაჭრას, რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ ბისეკის რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის კლიმატზე.

4. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბისეკის სპეციფიკური მექანიზმები ეკონომიკური მოღვაწეობის სხვადასხვა დარგებში, ისევე როგორც შესაბამისი ქვეყნების მნიშვნელოვანი მატერიალური და ადამიანური რესურსები, და მათი განუხრელი სწრაფვა დემოკრატიისაკენ ჯანსაღი საფუძველია მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობისათვის.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისინი:

ა) კვლავ ადასტურებენ წევრი ქვეყნების პოლიტიკურ ნებას განაგრძონ და გააფართოონ ძალისხმევა შავი ზღვის რეგიონში მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის, როგორც ევროპული ეკონომიური პროცესის შემადგენელი ნაწილის სტიმულირებისათვის, რაც შეესაბამება მათი და მთელი ევროპის ინტერესებს.

ბ) ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის შინა დინამიკას ბისეკის განვითარებისა და დიაპაზონის გაფართოებისათვის და აცხადებენ, რომ აუცილებელია შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც მთავარი როლი საქმიან წრეებს დაეკისრებათ.

გ) ითვალისწინებენ, რომ ამ მიზნების მიღწევას ხელს შეუწყობს სპეციფიკური პროექტების მიღება და ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

— გამოძებნონ ისეთი შეთანხმებები ან შეთანხმებათა დადების შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შავი ზღვის ქვეყნებს შორის სავაჭრო და სამეწარმეო თანამშრომლობის განვითარებას, და ამავე დროს ისინი შეუსაბამო არ იქნება არსებული შეთანხმებებით განპირობებულ ვალდებულებებთან.

— დაავალონ თავიანთი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებს ხელი შეუწყონ ბიზნესმენთა მოძრაობას, რომლებიც მოგზაურობენ სამეწარმეო მიზნებით ბისეკის რეგიონში.

— გადადგან აუცილებელი ნაბიჯები, რომ შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა მოქმედება დაიწყოს რაც შეიძლება მოკლე დროში, რათა განისაზღვროს პრიორიტეტული პროექტების ნუსხა, რომელთა დაფინანსებასაც უნდა ისახავდეს მიზნად ბანკის ფონდები და ეკონომიკური ინსტიტუტებისაგან ან საერთაშორისო და რეგიონული ფინანსური ორგანოებისაგან მიღებული ფონდები.

— გადადგან ნაბიჯები, რათა გაუმჯობესდეს შავი ზღვის რეგიონის ტრანსპორტირებისა და კავშირგაბმულობის სისტემის ეფექტიანობა და უსაფრთხოება იმ მიზნით, რომ შეიქმნას ეროვნული ინფრასტრუქტურები, რომლებიც შესაბამისად დაკავშირებული იქნება ტრანსევროპონ სატრანსპორტო სისტემასთან.

— დასაბამი მიეცეს გრძელვადიანი თანამშრომლობის პროგრამებს ენერგორესურსების წარმოებისა და განაწილების სფეროში.

— შეიმუშაონ შავი ზღვის ბიოპროდუქტიული პოტენციალის გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დაცვის ერთობლივი პროგრამა არსებული საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტების გათვალისწინებით, „ბუქარესტის, შავი ზღვის გაბინძურების თავიდან აცილების კონვენციის“ (1992) ჩათვლით.

— სტიმული მისცენ მცირე და საშუალო საწარმოთა, ინვესტორთა, მეწარმეთა თანამშრომლობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საჭირო ზომების მიღებით და ბისეკის საბჭოს, როგორც საქმიანი თანამშრომლობის რეგიონალური მექანიზმის, ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობათა შესწავლით.

— ერთობლივად იმოქმედონ ორმხრივ შეთანხმებათა საშუალებით ორგანიზებული დამნაშავეობის, ნარკოტიკების გასაღების, იარაღისა და რადიაქტიული მასალების უკანონო გადაზიდვის, ყველა სახეობის ტერორისტული აქტებისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

6. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ მათ ქვეყნებში დაფუძნდება შესაბამისი მაკოორდინირებელი სტრუქტურები, რომლებსაც დაევალებათ ბისეკის პროექტებისა და გადაწყვეტილებების განხორციელება.

7. მონაწილეებმა გამოთქვეს კმაყოფილება ბუქარესტის შეხვედრის შედეგების გამო და შეთანხმდნენ, რომ ბისეკის მონაწილე ქვეყნების ახალი უმაღლესი დონის შეხვედრებს მომავალში უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ ბისეკის მიზნების მისაღწევად.

8. მონაწილეებმა მადლობა მოახსენეს რუმინეთის მთავრობასა და ხალხს უმაღლესი დონის შეხვედრის დროს გაწეული კეთილი მასპინძლობისათვის.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

3 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ გადაწყვეტილებით — მოიწონოს და საქართველოს პარლამენტს განსახილველად გადასცეს ქვეყნის კონსტიტუციის პროექტი — დაასრულა თავისი დაძაბული და, ამასთან, ნაყოფიერი მუშაობა.

კომისიის დასკვნით სხდომაზე მოისმინეს კომისიის მდივნის ავთანდილ დემეტრაშვილის მოხსენება იმ შესწორებებისა და დამატებების შესახებ, რომლებიც კომისიის წევრთა წინადადებების გათვალისწინებით გასულ კვირას გამართული სარეიტინგო კენჭისყრის შედეგად შეიტანა პროექტში სამუშაო ჯგუფმა. ზოგიერთ საკითხს, რომლებთან დაკავშირებით აც კვლავ წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, ცალ-ცალკე ეყარა კენჭი საბოლოო ვარიანტის ჩამოსაყალიბებლად. მთლიანობაში კი, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტზე მუშაობა კომისიაში გადაწყვეტილების მიღებით არ ამოიწურება და მას უალრესად სერიოზული დეტალური განხილვა მოელის პარლამენტში, კომისიამ სხდომის მონაწილე წევრთა დიდი უმრავლესობით (პროექტს მხარი დაუჭირა კომისიის 61-მა წევრმა, წინააღმდეგი იყო 4) დაამტკიცა კონსტიტუციის პროექტი. ამგვარად, როგორც საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, გადაიდგა მნიშვნელოვანი ისტორიული ნაბიჯი ქვეყნის ძირითადი კანონის მიღების გზაზე.

ახლა სიტყვა საქართველოს პარლამენტზეა.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

ᲒᲖᲐ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲙᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲘᲒᲔᲑᲐ

1 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საპატრიარქოში შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

შეხვედრის მიზანი იყო წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, სამთავრობო უწყებებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეკრებილნი გაეცნენ არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის მიერ წარმოდგენილი ტაძრის პროექტს.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღნიშნა, რომ მსოფლიო ემზადება ჩვენი უფლისა და მაცხოვრის შობიდან 2000 წლისთავის აღსანიშნავად. ამავე დროს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავს. აუცილებლად და ღირსეულად უნდა აღვნიშნოთ ეს თარიღები, წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი სწორედ ამ თარიღებთან დაკავშირებით უნდა აშენდეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წყარო ჩვენი ცხოვრებისა არის უფალი — წმინდა სამება და პირველი, უმთავრესი საკათედრო ტაძარი უნდა იყოს წმინდა სამების სახელობისა. დამსწრე საზოგადოებისადმი მიმართვაში უწმინდესმა და უნეტარესმა ბრძანა, რომ მიზანი ტაძრის მშენებლობისა და ჩვენი შემოქმედებისა უნდა იყოს ხალხის სულიერად ამაღლება და განწმენდა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ აუცილებელია ტაძრის მშენებლობაში მთელმა ერმა მიიღოს მონაწილეობა, იგი უნდა გახდეს სიმბოლო იმ დღეებისა, რომლებიც საქართველომ გაიარა. ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებისათვის უნდა მოვიზიდოთ უცხოური ორგანიზაციები და ვითანამშრომლოთ მათთან. მან მიზანშეწონილად მიიჩნია, შეიქმნას კომისია, რომელიც პრაქტიკულად შეუდგება ტაძრის მშენებლობის საკითხების განხილვას. ასეთი კომისია უკვე შეიქმნა და მას უხელმძღვანელებს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა დამსწრეთ აცნობა, რომ მომავალი წლის გაზაფხულისათვის შესაძლებელი გახდება პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება და ტაძრის მშენებლობის საწყისი სამუშაოებისათვის გამოყოფილია მნიშვნელოვანი თანხები.

სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ტაძრის მშენებლობაში.

შეხვედრაზე გადაწყდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ყოველთვიურად წარადგენენ ინფორმაციას ტაძრის მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲥᲘᲤᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ პარლამენტის სხდომათა დარბაზში 14 საათზე გაიმართება საპარლამენტო ფრაქციათა კოალიცია „უმრავლესობის“ შეკრება. 16 საათზე იმავე დარბაზში დაიწყება საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა.

პარლამენტის საგანგებო სხდომას გაუძღვება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ.

„ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ, ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ“

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ
3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ
ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ** ორშაბათის ტრადიციული რადიოინტერვიუ, რომელსაც ჟურნალისტი **ᲜᲐᲢᲝ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ** უძღვებოდა, გასული კვირის ეკონომიკური ანალიზით დაიწყო.

— წლის პირველი ნახევრის მიწურული საქართველოში ანტიკრიზისული პროგრამისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმების კურსის თანამიმდევრულ განხორციელებაში მოპოვებული დადებითი ძვრების დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარებით ხასიათდება. 28 ივნისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. გამოიყო სისტემური ტრანსფორმაციის სესხის მეორე ტრანში, და, რაც მთავარია, სარეზერვო კრედიტი — სტენდ-ბაი, სულ დაახლოებით 157 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს. ეს თანხა მოხმარდება სრულფასოვანი ეროვნული ფულადი ერთეულის შიდაკონვერტირებადობის უზრუნველყოფას. ლარის შემოღება უახლოესი მომავლის საქმეა და ეს მოვლენა უდავოდ გააუმჯობესებს პირობებს ქვეყნის სტაბილურობის შემდგომი განმტკიცების, ეკონომიკის აღმავლობის და, რა თქმა უნდა, მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის.

რეფორმების განხორციელების რთულ პერიოდში საქართველოს მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულებაა ევროკავშირის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ზოგი სხვა ქვეყნის ამასწინანდელი გადაწყვეტილებანი სასურსათო დახმარების თაობაზე. ლაპარაკია დამატებით 30 ათას ტონა ხორბალზე, 70 ტონა მაზუთზე. ზუსტდება იმ დახმარების ოდენობაც, რომელსაც გამოჰყოფს ევროკავშირი. ზოგიერთი საკითხი გაირკვა რომსა და ბრიუსელში.

ფუძემდებლური საუბრები ეკონომიკური რეფორმის მხარდაჭერის გარანტიებზე, როგორც გახსოვთ, დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტების დროს ვაშინგტონში, ლონდონში, ბრიუსელში, პარიზსა და სხვა დედაქალაქებში. ეს საკითხები იხილებოდა სახელმწიფოთა მეთაურებთან შეხვედრების, შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენელთა თბილისში ყოფნის დროს. კერძოდ, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ბატონ მიშელ კამდესიუს ვიზიტს, რომლის დროსაც, პრაქტიკულად, ჩამოყალიბდა მსოფლიო სავალუტო ფონდის დამოკიდებულება რეფორმებისადმი საქართველოში (უფრო სწორად, ამ რეფორმებზე მათი წარმოდგენა).

ენერგეტიკის სფეროში და სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში საიმედო პერსპექტივებია დასახული რუსეთთან მოლაპარაკების შედეგად. კერძოდ, სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს შეხვედრას ვიცე-პრემიერ ოლეგ სოსკოვეცთან და რუსეთის ენერგეტიკის დარგის ხელმძღვანელებთან (ეს ხელმძღვანელები ვიცე-პრემიერს ახლდნენ ბუქარესტში. მათ შორის იყო ბატონი დიაკოვი, რომელიც ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს საქართველოში).

ბევრი რამ სასიკეთო გააკეთეს საერთაშორისო საფინანსო ცენტრებთან ურთიერთობაში პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ, მისმა მოადგილეებმა თემურ ბასილიამ, ბაკურ გულუამ, ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ, ეკონომიკის მინისტრმა ლადო პაპავამ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა. ამ ბოლო დროს მუშაობა გამოაცოცხლეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელმა იოსებ ბაჩიაშვილმა და სხვებმა. რა თქმა უნდა, მათ მადლობას მოვახსენებ გაწეული მუშაობისათვის.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადასა და მექსიკაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თედო ჯაფარიძემ საქინფორმს აცნობა, 1995 წლის 29 ივნისს მსოფლიო ბანკში შედგა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში გაწევრიანების ოფიციალური ცერემონია. საქართველოს სახელით გაწევრიანების შესახებ დოკუმენტს ხელი მოაწერა ბატონმა თედო ჯაფარიძემ. საქართველო გახდა ამ ორგანიზაციის 165-ე წევრი.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1956 წელს განვითარებადი ქვეყნების კერძო სექტორში ინვესტირების წახალისებისათვის. იგი ახორციელებს პროექტების დაკრედიტებას და საინვესტიციო პროექტებში წილობრივ მონაწილეობას. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, კორპორაცია არ ითხოვს სამთავრობო გარანტიებს და მუშაობს მხოლოდ კერძო სექტორთან.

ᲒᲖᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲙᲔᲜ!

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ ᲑᲘᲡᲔᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ

— **ᲠᲐᲪ** უფრო ვუახლოვდებით XXI საუკუნეს, მით მეტად იზრდება ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობა. იზრდება იქამდე, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის ფაქტორი პოლიტიკურზე მნიშვნელოვანი ხდება. შეიძლება, პოლიტიკური ფაქტორის ნიშანიც შეიძინოს და მაშინ ეკონომიკური ინტეგრაციის, ეკონომიკური აყვავების, განვითარებისა და პარტნიორობის ფონზე კონფლიქტებსაც აზრი დაეკარგება. ადამიანისათვის მთავარი იქნება იცხოვროს ნორმალურად და თუ საამისო პირობები შეიქმნება, პოლიტიკური პრობლემებიც უმტკივნეულოდ გადაწყდება, ასე ფიქრობს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და, ამიტომაც, რეგიონულ ორგანიზაციებში თანამშრომლობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობა „ბისეკი“ (BSEC), რომლის ძირითადი მიზანიც შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის დიდ საერთაშორისო ცენტრად გადაქცევაა. ეს იდეა თურქეთის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს ეკუთვნის, რომელმაც შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფართო მასშტაბის ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტი 1990 წელს წამოაყენა. მაშინ ადგილობრივმა მიმომხილველებმა „ბისეკს“ შავი ზღვის ქვეყნების თავისებური „საერთო ბაზრის“ წინამძღვარი უწოდეს.

1992 წლის 25 ივნისს კი, სტამბოლში უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილეებმა — შავი ზღვის აუზის 11 სახელმწიფოს: რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, მოლდოვას, საქართველოს, რუმინეთისა და ალბანეთის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაციას. ამ დოკუმენტში შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი ასე იყო განსაზღვრული: „შავი ზღვა უნდა იქცეს მშვიდობის, სტაბილურობისა და აყვავების ზღვად“.

მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. დადგა გაწეული საქმიანობის შეჯამების, დასკვნების გამოტანის დრო, სახელმწიფოს მეთაურთა მორიგი შეხვედრის ადგილად რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი განისაზღვრა, დროდ — 1995 წლის 30 ივნისი.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ კი ითქვა, სახელმწიფოს მეთაური რუმინეთს მიფრინავსო, ამ უმძიმეს ჟამს რა ებუქარესტებაო, ჩაიქირქილეს ზოგზოგებმა.

ბუქარესტში სწორედ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური უნდა წასულიყო. ჯერ ერთი, თურქეთისა და რუმინეთის პრეზიდენტებს ადრევე მისცა სიტყვა, რომ შეხვედრაზე აუცილებლად ჩავიდოდა. მეორეც: ამ უმაღლესი დონის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე საქართველოს თავისი სათქმელი ჰქონდა და, ალბათ, იგი სახელმწიფოს მეთაურს უნდა ეთქვა. მესამეც: აქ სახელმწიფოს მეთაურთა პირისპირ შეხვედრებიც იყო დაგეგმილი.

ბუქარესტში აშკარად იგრძნობოდა: ედუარდ შევარდნაძის, აღიარებული პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის, იქ ყოფნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები...

საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე და ამ სამინისტროს მუშ-

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

დიპლომატიური ქრონიკა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ფინანსისტების, მეწარმეების, ბიზნესმენებისა და ქვეყნის დიდი ფირმების „ბე-ემ-ვეს", „ალკატელისა" და „სიმენსის" დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი ლუკასი.

შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველო თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ევრობანკთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. საქმიანი კონტაქტების დამყარება გერმანიის უმსხვილეს ფირმებთან, ბიზნესმენებთან და მეწარმეებთან ურთიერთსასარგებლო ინტერესების გათვალისწინებით უდავოდ წაადგება ორივე ქვეყანას.

გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლები დაინტერესდნენ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზით, უცხოური ინვესტიციების დაცვით. მათ შექმნეს პროექტები მედიცინის, მცირე ჰესების განვითარებისათვის. გერმანელი მეწარმეები უკვე შეხვდნენ ქართველ კოლეგებს და დასახეს თანამშრომლობის საინტერესო პერსპექტივები.

შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი.

●

1 ივლისს, პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო იაპონიის საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის განყოფილების უფროსი ტაკატოში ნიშიკატა. მიღებას ესწრებოდა ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია.

— მე თვალყურს ვადევნებ ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს და ვიცი, რომ ისინი სერიოზულ მხარდაჭერას იღებენ იაპონიის მთავრობისაგან, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების ამოქმედება შესაძლებელია. აქვე განმარტა, რომ რთული სიტუაციის მიუხედავად, ქვეყნის მრეწველობა უნდა მუშაობდეს. მან გამოთქვა რწმენა, რომ ბატონ ტაკატოში ნიშიკატას ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების გაღრმავებას.

ბატონმა თემურ ბასილიამ თქვა, რომ იაპონიის მთავრობა დიდ დახმარებას უწევს გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ეკონომიკას, ფაქტად კი სომხეთის მაგალითი მოიყვანა. ვიცე-პრემიერმა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დამატებითი რესურსების გამონახვას და გამოთქვა იმედი, რომ იაპონიის მთავრობა დახმარებას გაუწევს საქართველოს ამ მძიმე ჟამს.

ბატონმა ტაკატოში ნიშიკატამ მადლობა გადაუხადა სახელმწიფოს მეთაურს მიღებისათვის და აღნიშნა, რომ მისი ვიზიტი პირველი ნაბიჯი იქნება საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობის განვითარების საქმეში, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა იაპონიის მთავრობამ, რაც შეიძლება, სწრაფად განიხილოს საქართველოს დახმარების საკითხები.

●

1 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი. მან ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს თხოვნა, რომ საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა დახმარება გაუწიონ საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მათ მიერ საქართველოში მცხოვრები დუხობორების თემისათვის გამოგზავნილი 200 ტონა დიზელის საწვავის გადმოცემის საკითხში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

დიპლომატიური ფოსტა

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

ძვირფასო ბატონო შევარდნაძე,

მარტში, საქართველოში ჩემი ვიზიტის დროს, დავრწმუნდი, რომ ეს არ იქნებოდა ბოლო სტუმრობა ჩემი ოფიციალური სტატუსით, ივნისში ვაპირებდი ვიზიტად გწვეოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თვე მოსკოვში გადატვირთული იყო ოფიციალური შეხვედრებით, და ვერ მოვახერხე საქართველოში ჩამოსვლა.

ნება მიბოძეთ, წერილობით გადაგიხადოთ მადლობა იმ დიდი მხარდაჭერისათვის, რომელსაც ვგრძნობდი საქართველოში ელჩად ყოფნის დროს.

ვიმედოვნებ, დამეთანხმებით, რომ ბოლო წლებში ორმხრივი ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის საგრძნობლად განვითარდა. მჯერა, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ ბრიტანეთის ელჩის მოვალეობას გადავცემ ადამიანს, რომლის რეზიდენცია თბილისში იქნება. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დარწმუნებული ვარ, რომ სტივენ ნეში დიდ წვლილს შეიტანს საქართველო-ბრიტანეთის ურთიერთობაში.

საუკეთესო სურვილებით,
პატივისცემით
ბრაიან ფოლი,
დიდი ბრიტანეთის ელჩი.

„კონსტიტუციის მიღება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ტერიტორიული გამთლიანების, დემოკრატიული განვითარების, ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფის, საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების გზაზე"

(დასასრული)

რაც შეეხება ენერგეტიკის პრობლემას, მე უკვე ვთქვი, რომ თბილსრესის მეცხრე ბლოკის ამოქმედების საკითხი ეჭვს არ იწვევს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია გერმანელთა დახმარება. მე-10 ბლოკისათვის სესხის გამოყოფის საკითხი ევრობანკს თითქმის გადაწყვეტილი აქვს და ბოლომდე მიიყვანს, მაგრამ კარდინალური გადაწყვეტა მაინც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოვილაპარაკებთ რუსეთთან. ესე იგი, აქ პატარ-პატარა ნაბიჯებით სიარული საქმეს არ შველის, საჭიროა რადიკალური ზომების მიღება იმისათვის, რომ ბევრი რამ, რაც სასარგებლო იყო ორივე ქვეყნისათვის, აღდგეს. ჩვენ ახლა სწორედ მოლაპარაკების ასეთ ფაზაში ვიმყოფებით.

კვირის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის ცხადია უნდა გამოიყოს შავიზღვისპირა ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრა რუმინეთის დედაქალაქში. ფორუმზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლაში, სხვადასხვა ქვეყნების ხელმძღვანელებთან საუბრებში პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად, გამოიკვეთა ეკონომიკური თანამშრომლობის საკმაოდ საინტერესო პერსპექტივები და მიმართულებები. ყოველივე ამის შესახებ უკვე იყო საუბარი ჩემს სატელევიზიო ინტერვიუებსა და გამოსვლებში.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ზემოთაღნიშნულ მიღწევათა ფონზე ქვეყნის საშინაო ეკონომიკურ ცხოვრებაში წინა კვირის მიმდინარე მოვლენებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

ეროვნული ვალუტის სრულფასოვანი ერთეულის — ლარის შემოღებისათვის ქვეყანაში სათანადო პირობების მომწიფებას მოწმობს თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობათა შედეგები. ამერიკულ დოლართან შეფარდებით კუპონის კურსი კვლავინდებურად მყარია: 1 დოლარი — 1300000 კუპონი. კვირის მანძილზე, როცა გამყიდველის როლში ეროვნულ ბანკთან ერთად რამდენიმე კომერციული ბანკიც გამოდიოდა, ბრუნვამ მილიონ-ნახევარი ამერიკული დოლარი შეადგინა. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის რუბლს, მისი კურსი კვლავ ნაკლებად სტაბილურია. ორშაბათს გაიყიდა 10 მილიონი, ერთი რუბლი — 251 კუპონი, ოთხშაბათს — ერთი რუბლი 261 კუპონი, პარასკევს — 1 რუბლი — 235 კუპონი, და ა. შ.

ქვეყნის ბიუჯეტის მეორე კვარტალის შემოსავლების დაზუსტებული მონაცემები მომდევნო კვირისათვის გახდება ცნობილი. ფინანსთა სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის საგადასახადო, არასაგადასახადო და გრანტების სახით მიღებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შემოსავლებმა 30 ივნისისათვის 50 ტრილიონ კუპონზე მეტი შეადგინეს. აღსანიშნავია, რომ ივნისში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სახით მიღებული თანხა თითქმის 27 პროცენტით სჭარბობს ხუთი თვის საშუალო თვიურ შემოსავალს. ასეთი მონაცემები ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად გვაქვს. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი, წარმოების გარკვეულ გამოცოცხლებასთან ერთად, რა თქმა უნდა, საგადასახადო სამსახურების მუშაობის გააქტიურებასაც მიუძღვის.

სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ოპერატიული სამმართველოს მიერ სხვადასხვა ობიექტებიდან ბიუჯეტში გადარიცხულია მნიშვნელოვანი თანხები, მათ შორის: სატელეფონო რესპუბლიკური ცენტრის თბილისის განყოფილებიდან — 44 მილიარდი კუპონი, თბილისის რკინიგზის სატელეფონო სადგურიდან — 74 მილიარდი კუპონი, თბილისის ფოსტამტიდან — 32 მილიარდი კუპონი, ფირმა „ფარაონიდან" — თითქმის 4 მილიარდი კუპონი და ასე შემდეგ.

თბილისის საგადასახადო ორგანოებმა ქალაქის მერიის ინიციატივით ბოლო კვირაში შეამოწმეს 71 ორგანიზაცია. დამატებით დარიცხულმა თანხამ 56 მილიარდი კუპონი შეადგინა.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილი ოპერატიული მონაცემებით, წინა კვირასთან შედარებით, პურპროდუქტების რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში მიღებული ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა 170 მილიარდი კუპონით შემცირდა (ეს კარგია!). ამასთან დავალიანება მოემატათ თბილისის ნავთლუღის, ქუთაისისა და ზუგდიდის პურკომბინატებს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ვადაგადაცილებული დავალიანებები აქვთ თბილისისა და ფოთის წისქვილკომბინატებს, მარნეულის კომბინატს. ზოგიერთ ობიექტს მეორედ ვასახელებ და პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მესამედ დასახელებას არავის არ ვურჩევ, რადგან ამას სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებაც მოჰყვება.

1995 წელს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შემოწმებული ხორბლის გადამმუშავებელი, პურისა და ფქვილის რეალიზაციით დასაქმებული 500-მდე ორგანიზაციიდან დარღვევები გამოვლინდა 265 ორგანიზაციაში. ფინანსური სანქციის სახით დამატებით გადასახდელად დაერიცხათ ორტრილიონ-ნახევარ კუპონამდე. მინდა მივმართო ბატონ ანზორ ბურჭანაძეს, მის მოადგილეს — ბოლო მოუღონ სისტემაში ამ უთავბოლობას და წესრიგი დაამყარონ. სხვა შემთხვევაში, ჩვენი ურთიერთობა ცოტა მძიმე ხასიათს მიიღებს.

მრეწველობის სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, 1995 წლის 6 თვეში სამინისტროს სისტემაში მოსალოდნელია 22 ტრილიონი კუპონის სამრეწველო პროდუქციის წარმოება. მათ შორის, ივნისში წარმოებულია 6,2 ტრილიონ კუპონზე მეტი პროდუქცია, რაც 800 მილიარდი კუპონით მეტია მაისში გამოშვებულთან შედარებით. ეს ტენდენცია ძალიან სასიხარულო და მისასალმებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ რეზერვები დიდია, ამიტომ მრეწველობისაგან კიდევ უფრო მეტ გააქტიურებას ველით.

შარშანდელთან შედარებით პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა აღინიშნება მანქანათმშენებლობის კომპლექსში, საავტომობილო ქარხანაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგში, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. ყოველივე ეს დაახლოებით 110-120 პროცენტის დონეზეა წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით. მაის-ივნისში გარკვეული დადებითი ძვრებია მიღწეული მსუბუქ მრეწველობაში — აქაც სერიოზულ ზრდასთან გვაქვს საქმე. წინა გამოსვლებში უკვე ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ ბამბის ნედლეულის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით რამდენიმე ობიექტმა დაიწყო მუშაობა, მათ შორის, ბამბეულის კომბინატმა გორში, სართავმა ფაბრიკამ თბილისში. მატყლის რესურსების მოძიების პირობების გაუმჯობესებამაც მოგვცა საშუალება, რომ მუშაობა დაეწყოთ მაუდის კომბინატს და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ობიექტს.

საანგარიშო მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით მდგომარეობა რკინიგზის ტრანსპორტზეც რამდენადმე უმჯობესდება. ამას ვამბობ რკინიგზელების საყურადღებოდ — როცა ისინი მოინდომებენ, ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. მაგალითად, 1995 წლის იანვარ-მაისში საერთო სარგებლობის რკინიგზის ტრანსპორტით გადატანილია 36 პროცენტით მეტი ტვირთი და შესრულდა 25 პროცენტით მეტი ტვირთბრუნვა გასულ წელთან შედარებით. ყველაფერი ეს შემოსავალია რკინიგზისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც.

მიმდინარე წელიწადი ძალზე მძიმე გამოდგა სოფლის მეურნეობისათვის. სარწყავი სისტემების უმოქმედობა, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების მწვავე დეფიციტი, დაბალი ხარისხის თესლი — ყოველივე ამან გავლენა იქონია. უმძიმესი გვალვები გადაიტანა კახეთმა, ქართლის რაიონებმა. საერთოდ, სოფლის მეურნეობაში შეიქმნა მძიმე კლიმატური პირობები (ამ ბოლო ორ-სამ კვირაში განსაკუთრებით) — გვალვები, სეტყვა, ღვარცოფი, ამის პარალელურად სახელმწიფოს შესაძლებლობები უკიდურესად შეზღუდულია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცალკეულ რაიონებში მაინც არის სასიკეთო ძვრები და ვფიქრობ, რომ საბოლოო ანგარიშით, სოფელმა შესაძლოა მიმდინარე წელი გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავროს, ვიდრე გასული წლები. ერთი რამ უნდა ვთქვა: სოფელს დახმარება სჭირდება და ჩვენ ამ საქმეში ყველანი ერთნაირად არ ვაზროვნებთ. სამწუხაროდ, ყველა უწყება — რაიონული და საქალაქო, ასე არ არის განწყობილი. ჩემი აზრით, დადგა დრო სერიოზული სჯა-ბაასი და დისკუსია გაიმართოს ქვეყნის ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრასა და ამ პოლიტიკის რეალურ გამოხატულებაზე ცალკეული რაიონების და თუნდაც ცალკეული სოფლების მიხედვით.

რამდენიმე სიტყვა ელექტროენერგიასთან დაკავშირებით. უკვე გითხარით, რომ ზამთართან დაკავშირებული პრობლემების გლობალური გადაწყვეტა დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება ჩვენი მოლაპარაკება რუსეთთან. რაც შეეხება მიმდინარე საკითხებს — ელექტროენერგიის საშუალო სადღეღამისო მოხმარებამ 28-29 ივნისისათვის თითქმის 20 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ზრდის ტემპი 49,5 პროცენტია, ხოლო საშუალო გამომუშავება 19 მილიონ კილოვატსაათზე მეტია, რაც 91 პროცენტს შეადგენს. შესაბამისი ეფექტი მრეწველობაში, ჯერჯერობით, არ გვაქვს. მოხდა ისე, რომ მთელი რიგი ქალაქები ელექტროენერგიით უზრუნველყავით, მაგრამ ყველა ობიექტი არ ამუშავებულა. ვფიქრობ, რომ აქედან დასკვნებია გამოსატანი.

ისე კი, როგორც გითხარით, საერთო ტენდენცია იმედის მომცემია.

— ბუქარესტში „ბისეკის" შეხვედრაზე თქვენი გამოსვლა ორი მომენტით გამოირჩეოდა: კრიტიკით და ამ ეკონომიკურ ალიანსში პოლიტიკური ასპექტის შეტანით. რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება, თქვენი აზრით, ეს გაერთიანება და რამდენად პერსპექტიულია საერთოდ რეგიონული გაერთიანებები?

— როგორც თვითმფრინავში საუბრის დროს მოგახსენეთ, „ბისეკს" აქვს მომავალი, თუკი იგი თავს დააღწევს გარკვეულ ამორფულობას (ეს სიტყვა მე იქ არ ვიხმარე, თუმცა პირვანდელ ტექსტში მქონდა, მაგრამ შემდეგ თავი შევიკავე). ეს საფრთხე ნამდვილად არის, თანაც ისეთი გიგანტების არსებობის პირობებში, როგორიცაა ევროკავშირი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. „ბისეკს" დასჭირდება უდიდესი, ძალიან სწრაფი ტემპის განვითარება. ამიტომაც, ვილაპარაკე სტრუქტურულ სრულყოფაზე, უფრო აქტიურ ხელმძღვანელობაზე, ისეთი პოლიტიკური ნების გამოვლინებაზე, რომელმაც უნდა გადალახოს სახელმწიფოთა შორის და მათ შიგნით არსებული ბარიერები და რომ ასეთი ბარიერები არსებობს, ეს აღნიშნეს სახელმწიფოთა მეთაურებმა. მხოლოდ აქტიური პოლიტიკური უზრუნველყოფა მიგვიყვანს ეკონომიკური ინტეგრირების ისეთ დონემდე, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უზრუნველყოფს პოლიტიკური მოვლენების ეკონომიზაციას. ვფიქრობ, რომ ეს შეუქცევადი პროცესი იქნება. ეგრეთ წოდებული წმინდა პოლიტიკა, შეიძლება წარსულის მოგონებად დარჩეს. ამ მხრივ, სწორედ რეგიონული ორგანიზაციები, მათ შორის კარგად აწყობილი ურთიერთობა, აუცილებლად შექმნიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამინდს. ხოლო თუ ეკონომიკა განვითარდება, ხალხი დარწმუნდება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეკონომიკური ინტეგრაცია არის ის გზა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

— რუმინეთში თქვენ წამოაყენეთ ერთი საყურადღებო წინადადება. კერძოდ, ის, რომ შავიზღვისპირა ქვეყნების რეგიონი სეისმურად ძალიან აქტიური ზონაა. თქვენ გაიხსენეთ მიწისძვრები სომხეთში, საქართველოში, თურქეთში, რუმინეთში და ამასთან დაკავშირებით რეგიონის ძალების გაერთიანების საკითხი დააყენეთ. გასულ კვირას, სომხეთის ატომური სადგური ამუშავდა. გასაგებია, რომ ეს კარგია, სომხეთს სჭირდება ენერგია, მაგრამ გარკვეული ორგანიზაციები გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ თვითონ ეს ფაქტი საშიშროებას შეიცავს არა მარტო სომხეთისათვის, არამედ მთელი რეგიონისთვის...

— სომხეთში ატომური ელექტროსადგურის ამუშავება, ერთი მხრივ, დიდი სიკეთის მომტანია ამ ქვეყნისათვის, ჩვენი მეზობლისათვის (და ეს გვიხარია) და გარკვეული აზრით, რეგიონისთვისაც: როცა მეზობელს აქვს ისეთი დიდი სიმდიდრე, როგორიცაა ელექტროენერგია, ბუნებრივია, ჩვენც შეიძლება გვქონდეს ერთგვარი მხარდაჭერის იმედი. მეორე მხრივ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ რეგიონის სრულ უსაფრთხოებაში. ვფიქრობ, სომხეთის ხელმძღვანელობას ეს მუდმივად ჰქონდა მხედველობაში, როცა სადგურის ექსპლუატაციის საკითხს წყვეტდა. ეს ის პრობლემაა, რომლის შესახებ აუცილებელია დიალოგი სამთავრობო დონეზე და ასეთი დიალოგი აუცილებლად გაიმართება. ვფიქრობ, შესაძლებელია უსაფრთხოების წესების უსასტიკესი დაცვით გვქონდეს იმის გარანტია, რომ ყოველგვარი გაუგებრობა და უსიამოვნება თავიდან ავიცილოთ.

— გასულ კვირას, საქართველოში ტერორისტთა მორიგი ჯგუფი დააკავეს. ამჯერად, ყოფილი პრეზიდენტის ერთ-ერთი მომხრე, ყოფილი პრეფექტი ზვიად ძიძიგური და სხვები. ალბათ, წინასწარი მონაცემები და ინფორმაცია არსებობს ამასთან დაკავშირებით...

— შემიძლია გითხრათ ის, რაც ორი დღის წინათ მომახსენეს. როგორც მითხრეს, და სათანადო დოკუმენტებიც არსებობს, ამ ჯგუფს ყველაფერი ჰქონდა გამზადებული ვახუშტის სახელობის ხიდის ასაფეთქებლად. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ეს განზრახვა სისრულეში რომ მოეყვანათ? ეს ის ძიძიგურია, რომელმაც სამტრედია დაარბია და დაანგრია, სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონებში თავი გამოიჩინა მკვლელობებით, სისასტიკით, სოფლების გადაწვით. გაიხსენეთ მისი შეჭრა სამტრედიაში, იქ დაღვრილი სისხლი, გადამწვარი სახლები, ათობით დაღუპული ადამიანი.

მადლობას ვუცხადებ ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობას, ყველა მუშაკს, რომლებმაც სამინისტროს დახმარებით და ქალაქის მერიის ხელშეწყობით ასეთი საშინელი დანაშაულობანი ააცილეს თავიდან დედაქალაქს. როგორც მეუბნებიან, მალე ცნობილი გახდება, რა ძალები უჭერენ მხარს დამნაშავეებს (საკმაოდ დიდი ძალებია ეს!), იმასაც ამბობენ, რომ ამ ჯგუფს ტერორისტული და დივერსიული აქტების მთელი სერიები ჰქონდა დაგეგმილი (ამის შესახებ უკვე სათანადო დოკუმენტებია მოპოვებული), ზოგიც განახორციელეს. ამის თაობაზე სათანადო ორგანოები მიაწვდიან საზოგადოებრიობას ინფორმაციას.

არ შემიძლია არ ვთქვა: გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი ჩემი კოლეგის, ზოგიერთი პარლამენტარის თავგამოდება დამნაშავეთა სასარგებლოდ და მათ დასაცავად. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სინდისს რაღას უბნები, ხომ უნდა დამთავრდეს საქართველოში ნგრევის, დივერსიებისა და ტერორის ხანა. ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ. გაუთავებელი ლაპარაკი, რომ საქართველოში დაიწყო 37 წელი — წმინდა წყლის დემაგოგიაა. იმ ხალხს, ვინც ამას ამბობს, უბრალოდ, არ ეკადრება. თუ ვინმე იბრძვის იმისათვის, რომ რამე მსგავსი არ განმეორდეს, რაც დაკავშირებულია მძიმე მოგონებებთან — იბრძვის ხელისუფლება და პირადად სახელმწიფოს მეთაური.

— გუშინ თითქმის მთელი სამუშაო დღე საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე გაატარეთ. დღეს „უმრავლესობის" წარმომადგენლებთან დაიწყება შეხვედრა, ხვალ საგანგებო სხდომაა. რას ელით ამ კვირისგან?

— საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ საკონსტიტუციო პროცესი გადამწყვეტ და ურთულეს ფაზაში შევიდა. კონსტიტუციის მიღება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ტერიტორიული გამთლიანების, დემოკრატიული განვითარების, სახალხო კეთილდღეობის უზრუნველყოფის, საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების გზაზე. რამდენად ვართ მზად ამისათვის, ამას უახლოესი დღეები გვიჩვენებს. ძალიან მინდა, რომ ჩვენმა პარლამენტმა, რომელმაც ასეთი რთული გზა გაიარა ამ სამი წლის განმავლობაში, და რომელიც, პრაქტიკულად, იმისათვის შეიქმნა, რომ მიგვეღო კონსტიტუცია — ეს უმთავრესი კანონი ქვეყნისა — ღირსეულად გაართვას თავი ამ უდიდეს ამოცანას.

საქართველოს პარლამენტში „უმრავლესობა" არჩევნების გამართვის მომხრეა

ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ პარლამენტარები ფრაქციათა კოალიცია „უმრავლესობის" სხდომაზე, რომელიც 3 ივლისს გაიმართა პარლამენტის სხდომათა დარბაზში. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მსჯელობა გაიმართა მომავალი საგანგებო სესიის დღის წესრიგთან დაკავშირებით, რომელიც 4 ივლისიდან იწყებს მუშაობას და თვის ბოლომდე გაგრძელდება, კერძოდ, ილაპარაკეს კონსტიტუციასა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა კონსტიტუციის მნიშვნელობაზე, პარლამენტართა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტორებს, რომლებიც ქვეყნის ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე, განსაკუთრებით აუცილებელს და მიზანშეწონილს ხდის კონსტიტუციის მიღებას და მის საფუძველზე არჩევნების გამართვას. ყველაზე უკეთესი ვარიანტი იქნება, თუ პარლამენტი მოკლე ვადაში მიიღებს კონსტიტუციას, თუმცა, აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ, ეს არ გამორიცხავს, რომ თუკი ვერ მოხერხდება კონსტიტუციის სრულად მიღება, პარლამენტმა განიხილოს და მიიღოს ის პუნქტები, რომლებიც დავას არ იწვევს, და რომლებიც საჭიროა არჩევნების გამართვისათვის.

„უმრავლესობა" საგანგებო სესიას თავის მოსაზრებას შესთავაზებს. პირველი: პარლამენტმა აუცილებლად უნდა გამოაცხადოს მომავალი საპარლამენტო არჩევნების თარიღი, მეორე: თუკი კონსტიტუციის მიღება ვერ მოხერხდება, უნდა დაინიშნოს რეფერენდუმი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა ფაქტობრივად დაამთავრა. 3 ივლისს იყო კომისიის შემაჯამებელი სხდომა, რის შემდეგაც, კონსტიტუციის პროექტი პარლამენტს გადაეცა. 4-ში როგორც აღვნიშნეთ, მუშაობას იწყებს პარლამენტის საგანგებო სესია. ის ფაქტი, რომ პირველივე სხდომას პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური გაუძღვება, თავისთავად ნიშნავს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელისუფლება კონსტიტუციის განხილვისა და მიღების პროცესს.

ნინო თათრულაიძე,
საქინფორმის კორ.

შემოვა რუსული ხორბალი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი იტყობინება, რომ მიღწეულია შეთანხმება, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის, 300 ათასი ტონა სასურსათო ხორბლისა და საფურაჟე მარცვლის ხელსაყრელი ფასებითა და შეღავათიანი პირობებით საქართველოსათვის გამოყოფის თაობაზე. დაინტერესებულ კერძო ფირმებსა და კომერციულ სტრუქტურებს შეუძლიათ მიმართონ მინისტრთა კაბინეტს, შემდეგ ტელეფონებზე: 93-10-90, 93-27-60;

საქინფორმი.

შავი ზღვა და ვარდისფერი მომავალი

(დასასრული)

ები იყვნენ, ბუქარესტში საღამოს რვის ნახევარზე ჩაფრინდა. 8 საათზე კი სახელმწიფოს მეთაურს, მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში რუმინეთის პრეზიდენტი იონ ილიესკუ ესტუმრა და გულთბილი მოკითხვის შემდეგ საუბროდ დახურულ კარს მიღმა დასხდნენ.

წუთშესვენება: რვა წელიწადი ბატონობდა ნიკოლაე ჩაუშესკუ რუმინეთში. მისი დიქტატურა 1989 წლის დეკემბერში დაემხო, რა თქმა უნდა, — არა უსისხლოდ, ეს სისხლი კარგა ხანს აჩნდა დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. მაგრამ დღეს რუმინეთი აღმავლობის გზაზე დგას. ეს ვიგრძენით ყველგან, სადაც კი შევიხედეთ, რასაც კი თვალი შევავლეთ. ქვეყნის ფეხზე წამოდგომა, განსაკუთრებით, მოქალაქეებით იგუმანება. ინფლაცია შეჩერდა, წარმოების ტემპმაც იმატა, გვითხრეს. და იმედის ნაპერწკალმა გაიელვა გულში: რუმინეთმა დასძლია ის მძიმე დღეები, ჩვენ რომ გასავლელი გვაქვს.

— რუმინეთი როგორც საქართველოსთვის, ისე კავკასიისა და სხვა ქვეყნებისთვის, თანდათან მიმზიდველი და საინტერესო პარტნიორი ხდება, — გვითხრა ჟურნალისტებს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უკან დაბრუნებისას თვითმფრინავში, ტრადიციულ სახელდახელო ინტერვიუში. მერე ერთი-ერთზე შეხვედრებიდან ზოგიერთი რამ, რისი საჯაროდ გამხელაც შეიძლებოდა, გაგვიმხილა. თქვა, რომ რუმინეთის ისეთ მნიშვნელოვან ნავსადგურს, როგორიც კონსტანცაა, ჩვენი ტვირთების გადაზიდვის საქმეში არსებითი როლის შესრულება შეუძლია, რომ კონსტანცა აუცილებლად გააფორმებს ხელშეკრულებებს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებთან. სხვა სფეროებში თანამშრომლობის კარგი პერსპექტივებიც გამოიკვეთაო.

მომზადებულია სერიოზული ხელშეკრულების რამდენიმე პროექტი, რომლებსაც რუმინეთის პრეზიდენტი შემოდგომაზე, თბილისში ჩამოსვლისას მოაწერს ხელს, ეს სახელმწიფოს მეთაურმა ამ ქვეყანასთან რეალური თანამშრომლობის დასაწყისად მიიჩნია.

თურქეთს საქართველოზე უახლოესი მეზობელი რომ არა ჰყავს და მისთვის საქართველოში არსებული ვითარება სულერთი არ არის, ეს კიდევ ერთხელ წარმოჩინდა სულეიმან დემირელთან საუბრის დროსაც. მან კვლავ დაადასტურა თავისი ცნობილი პოზიცია, რომ თურქეთი მზად არის ხელი შეუწყოს საქართველოს აღორძინებას, მისი ერთიანობისა და მთლიანობის გარანტიის შექმნას. როგორც შევიტყვეთ, ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს დახურულ კარს მიღმა რეგიონში არსებული ვითარებაც მიმოუხილავთ და ეთნოკონფლიქტებზეც უსაუბრიათ. ივლისის ბოლოს ბატონი დემირელი ახალციხეში ჩამოვა და ბატონ ედუარდთან ერთად ახალი სატრანზიტო ტრასის ლენტს გაჭრის, ხელშეკრულებებსაც იქვე მოაწერენ ხელს.

— თუ ჩვენ ამ ახალ ტრასას შესაფერისად მოვუვლით, იგი დიდ სიკეთეს მოუტანს არა მარტო რეგიონს, არამედ მთელ საქართველოს, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა და დასძინა: — ვისაუბრეთ „ბისეკის" ქვეყნების ურთიერთობის დინამიზაციაზე, იმ პერსპექტივებზე, რომლებიც ნავთობისა და გაზის გატანასთან, რუსეთის ელექტროენერგიის ექსპორტსა და ზოგიერთ სხვა საკითხთან არის დაკავშირებულიო.

ტრადიციული შეხვედრა შედგა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევთან. ორივე სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ ამგვარი დიალოგები აქტუალური საკითხების გადაწყვეტას უწყობს ხელს. საუბრის თემა იყო: საერთო პრობლემები, ურთიერთობები რუსეთთან, სომხეთთან, თურქეთთან, ირანსა და სხვა ქვეყნებთან.

— განვიხილეთ ნავთობის, გაზის, განსაკუთრებით, პირველადი ნავთობის გატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პერსპექტივა, — გვითხრა ბატონმა ედუარდმა. — ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, როგორ გადაწყდება ეს საკითხი, გარკვეული პრეტენზიები რუსეთსაც აქვს (არის ამაში თავისი ლოგიკაც და არგუმენტიც). მაგრამ საქართველოს პრეტენზიაც დასაბუთებულია — საქართველოზე ნავთობსადენის გზა ბევრად უფრო მოკლე იქნება.

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ოლეგ სოსკოვეცმა შეხვედრაზე დაადასტურა რუსეთის ხელმძღვანელობის პოზიცია: რაც შეიძლება ჩქარა და ენერგიულად დაიწყოს დევნილი მოსახლეობის დაბრუნება, და პარალელურად, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას იმ კუთხით უყურებს, რომ საქართველო ერთიანი სახელმწიფოა. თვითონ მეც აქტიურად ვარ ჩაბმული ამ საქმეში და ძალისხმევას კიდევ უფრო გავაძლიერებო.

— ჩვენი საუბრის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა იყო, — განმარტა სახელმწიფოს მეთაურმა. — მართალია, „თბილსრესის" აღდგენასა და სხვა ობიექტების მოწესრიგებაში უცხოელი მეგობრებიც გვეხმარებიან, მაგრამ ყველაფერი ეს ზღვაში წვეთია. რუსეთის ენერგეტიკასთან თანამშრომლობის გარეშე ძალიან ძნელია ენერგოკრიზისიდან საბოლოოდ გამოსვლა, დახმარებას დაგვპირდა შეხვედრაზე სოსკოვეცთან ერთად მყოფი სამხრეთის ენერგეტიკული კომპლექსის ხელმძღვანელი, მთავარი სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე დიაკოვი. 7-8 ივლისს იგი თბილისში ჩამოვა და თანამშრომლობის პრინციპებზე მოვილაპარაკებთ. პირობა მოგვცა: როგორც კი დაამთავრებს კავკასიონზე გამავალი მაღალი ძაბვის ხაზის აღდგენას კავკასიონის იქითა მხარეს, დაგვეხმარება აქეთა მხარეს ხაზის აღდგენაში. სამწუხაროდ, ბევრი ანძა დღეს აფეთქებული და დაახლოებით 20-30 კილომეტრი საერთო სიგრძის მაღალი ძაბვის მავთულები მოპარული და გაყიდულია. ამის მიუხედავად, დამპირდა, რუსეთი შესაბამისი მარაგის ასაღორძინებლად ყველაფერს გაგიკეთებთო.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ბულგარეთის პრეზიდენტ ჟელიუ ჟელევთან შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან ახლა ბულგარეთისა და ბათუმის, ფოთის ნავსადგურებს შორის ერთობ საქმიანი მოლაპარაკება მიმდინარეობს, გაირკვა, რომ წლევანდელი წლის ბოლოსთვის ბულგარეთის პრეზიდენტი თბილისს ესტუმრება.

საბერძნეთის პრეზიდენტმა კონსტანტინ სტეფანოპულოსმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საბერძნეთში მიიპატიჟა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე ფიქრობს, ეს ვიზიტი უნდა შედგეს, რადგან დიდ იმედებს გვისახავს. მას 1995 წელი საქართველოსა და საბერძნეთის ურთიერთობის გადამწყვეტ წლად მიაჩნია.

პირისპირ შეხვედრები 30 ივნისს შუადღისას დამთავრდა და საქართველოს დელეგაცია რუმინეთის პარლამენტის სასახლისაკენ გაემართა.

წუთშესვენება: სვეტებით, თაღებითა და ულამაზესი ორნამენტებით დამშვენებული ეს თეთრი შენობა 508 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზეა გაშენებული. შიგნით, თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებულკედლებიანი და ფიანდაზისებრ იატაკიანი ეს გიგანტი ადმინისტრაციულ შენობათა შორის მსოფლიოში მეორე ადგილზეა და გინესის წიგნშიაც კი არის შეტანილი. როგორც გვითხრეს, იგი მთლიანად ეროვნული ძალებითა და რუმინული სამშენი მასალებით აიგო. მშენებლობაზე 17 ათასი კაცი მუშაობდა.

პოლიციის ესკორტი პარლამენტის სასახლესთან ზედიზედ მოაცილებდა „ბისეკის" შეხვედრის მონაწილე ქვეყნების დელეგაციებს.

დაიწყო უმაღლესი დონის შეხვედრის გახსნის ცერემონიალი. რუმინეთის პრეზიდენტის მისასალმებელი გამოსვლისა და ქვეყნის მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ, სიტყვა სახელმწიფოთა მეთაურებმა აიღეს. ისინი, ფაქტობრივად, სამი წლის ანგარიშს აბარებდნენ ერთმანეთს, ჰყვებოდნენ საკუთარ ქვეყნებში არსებულ ვითარებასა და მიმდინარე მოვლენებზე, გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, წინადადებებს, რომლებშიც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ბრძოლისათვის პასუხისმგებლობა იგრძნობოდა და, კიდევ: ორგანიზაციის მუშაობის საკუთარი ქვეყნების სასარგებლოდ წარმართვა. შეიმუშავეს ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის ორიენტირები. ყურადღება გაამახვილეს რეგიონში სრული ურთიერთგაგებასა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცებაზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ამომწურავად განმარტა, რომ სამ წელიწადში გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა, რომ ამ შეხვედრას აზრი მაშინ აქვს, თუ თანამშრომლობას ახალი სტიმული მიეცემა.

მისი გამოსვლიდან (ეს სიტყვა სრულად ჩვენი გაზეთის 1 ივლისის ნომერში დაიბეჭდა) რამდენიმე საკითხი, ზოგიერთი სხვა გამომსვლელის აზრსაც დაემთხვა. კერძოდ, რომ ეს ალიანსი სრულყოფილი უნდა გახდეს. სტრუქტურულად აუცილებლად გენერალური მდივნის პოსტის შემოღება და ამ თანამდებობის ისეთ ინსტიტუტად ქცევა, რომელიც იდეების რეალიზაციისათვის იბრძოლებს, აუცილებლად მიიჩნია „ბისეკის" ორგანული კავშირი ევრობანკთან, რომელსაც გრანდიოზული გამოცდილება აქვს და მისი გამოუყენებლობა დანაშაულია, ევრობანკს ფინანსური დახმარების გაწევაც შეუძლიათ.

(შეხვედრას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო ფინანსური ცენტრების, მსოფლიო ბანკის, ევრობანკის, სავალუტო ფონდის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ თქვეს, რომ მზად არიან მონაწილეობა მიიღონ რეგიონული პროექტების დაფინანსებაში).

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა სატრანსპორტო, სატრანზიტო ინფრასტრუქტურების საერთო ძალებით შექმნაზე, რასაც ბევრი სახელმწიფოს მეთაური გაგებით შეხვდა, ჩვენ ეს შემდეგ ასე განგვიმარტა: — რაც უნდა მოვინდომოთ, ჩვენ 5-10 წელიწადშიც ვერ შევქმნით ისეთ ინფრასტრუქტურას, რომელიც საქართველოზე გამავალი ტვირთებისათვის არის აუცილებელი. ესენია, გვირაბები, ახალი გზები, სავაჭრო ობიექტები, სასტუმროები, ტურისტული ბაზები, საბაჟოები და სხვა.

შეხვედრაზე იმის აუცილებლობაც მწვავედ წარმოჩინდა, რომ აქტიური თანამშრომლობით შექმნან გარანტიები, რათა სატრანზიტო მოძრაობას არ მოჰყვეს ნარკობიზნესის მოძალება, კონტრაბანდა, იარაღით ვაჭრობა, დამნაშავე ძალების თარეში, რაც სავსებით მოსალოდნელია.

შეხვედრის მონაწილეებმა შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებზეც იმსჯელეს. თქვეს, რომ უნდა შემუშავდეს შავი ზღვისა და შავიზღვისპირეთის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი პროგრამა. — საქართველოს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და თავის სამეცნიერო-პრაქტიკულ პოტენციალს გამოიყენებს, რათა საბერძნეთში ამ საკითხებზე მომუშავე ცენტრმა თავისი მისია სრულად შეასრულოს, — განაცხადა ბატონმა ედუარდმა.

შეხვედრის მონაწილეებმა იმ დღეს პირველად ილაპარაკეს მიწისძვრის პრობლემებზე. ითქვა, რომ ქვეყნები ცალ-ცალკე ამ პრობლემას თავს ვერ გაართმევენ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა წინადადება წამოაყენა: საქართველოს აქვს უზარმაზარი ტრადიციების, დიდი გამოცდილებისა და შესაძლებლობების მქონე სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი. იგი შეიძლება გახდეს რეგიონის სახელმწიფოთა შესაბამისი ცენტრის სამეცნიერო ბაზა. ასევე, პირველად ითქვა და ისიც ბატონი ედუარდ შევარდნაძის მიერ, რომ „ბისეკმა" ახლო ურთიერთობა და საქმიანი კავშირი უნდა დაამყაროს დსთ-სთან. სხვა მსგავს სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებებთან, ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები: ისრაელი, ეგვიპტე და სხვები.

XXI საუკუნეში მომავალი რეგიონულ თანამშრომლობას ეკუთვნისო, გვითხრა მან მოგვიანებით.

განვლილი სამი წლის მიღწევად, ედუარდ შევარდნაძემ „ბისეკის" ქვეყნების ბანკის შექმნა და ახალი პროექტების წარმოდგენა მიიჩნია, თუმცა, კონკრეტული შედეგების მიხედვით, გარკვეული უკმარისობის გრძნობაც აქვს და ეს მარტო მას არ გამოუხატავს.

„ბისეკის" მონაწილე ქვეყნების მაღალი დონის შეხვედრაზე მიიღეს განცხადება (იგი ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება).

* * *

შეხვედრა დამთავრდა. მას პრესკონფერენცია მოჰყვა. ჟურნალისტებით გადაჭედილ დარბაზში სუნთქვა ჭირდა. გრძელ მაგიდასთან გვერდიგვერდ მსხდომი სახელმწიფოთა მეთაურები ერთიან, მძლავრ ძალად აღიქმებოდა.

— თქვენ პრეზიდენტს „გაგარინ ულიბკას" ეძახიან და დღეს იშვიათად იღიმებაო, „ჩამირტყა" ერთმა უცხოელმა კოლეგამ. მისთვის, რა თქმა უნდა, არაფერი მიპასუხია. ვიცოდი, ბატონი ედუარდი ფიქრით საქართველოში იყო...

...**წამივით** გავიდა ფრენის ორსაათ-ნახევარი და საქართველოს დელეგაცია ბუქარესტიდან გვიან ღამით დაბრუნდა თბილისს.

ჩვენი სახელმწიფოს მეთაური თვითმფრინავსაც კი სწრაფად მოაფრენსო, იხუმრა ერთმა.

თბილისში მას ზღვა საქმე ელოდა!

რუსუდან ლორთქიფანიძე,
ჩვენი სპეც. კორ.
ბუქარესტი-თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან — „მოსკოვის ლაბირინთებში“

ინტროდუქცია და ფუგა გაყიდული ორკესტრისათვის

გულახდილად პროფესიული სინდისის შესახებ



2. ვინ ქმნის ედუარდ შევარდნაძის იმიჯს?

— მას შემდეგ, რაც მითხრეს, რომ რუსეთის პრესაში დაკვეთების პრაქტიკა არსებობს, უფრო დაკვირვებით და სწორედ ამ კუთხით დავიწყე საქართველოსადმი მიძღვნილი პუბლიკაციების კითხვა და ანალიზი. აშკარად გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია. ერთ-ერთი აჭარასთან არის დაკავშირებული, — თქვა თეიმურაზ სტეპანოვმა და განაგრძო:

შევარდნაძის პოზიცია ამ შემთხვევაში ჩემთვის ცნობილია: არაფერი არ უნდა გაკეთდეს ისეთი, რაც გააუარესებს ურთიერთობებს, მდგომარეობას, ხელს შეუწყობს სიტუაციის გამწვავებას რესპუბლიკაში.

მე ვიზიარებ ამ პოზიციას, მაგრამ, როგორც ჟურნალისტმა, ყურადღება მივაქციე ერთ გარემოებას. 1993 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, როდესაც საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში იყო, რუსეთის პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოჩნდა პუბლიკაციები, რომ მთელს საქართველოში აჭარა უშფოთველობის ერთადერთი კუნძულია. ღმერთმა სულ ასეთად ამყოფოსო.

იქით რა, იმ ფონზე, რომელიც სოხუმში იყო, ამის აქცენტირებული დემონსტრირება, ჩემის აზრით, ძალიან უხერხული ჩანდა.

გვაქებენ, ამას რა სჯობია, მაგრამ...

როგორც მითხრეს, ქების ამ კამპანიას ერთი კაცი, ცნობილი „შოუმენი“ იური აიზენშპისი ედგა სათავეში. ამავე სარეკლამო ღონისძიების ჩარჩოებში აჭარაში ჩატარდა როკ-ფესტივალი და სპორტული შეჯიბრებები, რასაც ერთადერთი რამ უნდა დაემტკიცებინა — საქართველოს წინააღმდეგობები გლეჯს, ამ კუთხეში კი მშვიდობა და სიწყნარე სუფევს.

ამას რომ გიყვებით, მხოლოდ ჩემს დაკვირვებას გიზიარებთ, ხაზს ვუსვამ — მხოლოდ ჩემს დაკვირვებას, და არავითარ შემთხვევაში არც ვინმეს კომპრომენტირება მიდევს გულში, მით უფრო, არც იმ მშვიდობიანი ბალანსის დარღვევა, რომელიც ამჟამად საქართველოში არის.

თეიმურაზ სტეპანოვი ინტერვიუს დამთავრების შემდეგ მაინც მოუბრუნდება ამ საკითხს და მეტყვის, რომ მას კარგად ესმის ამ თემის დელიკატურობა, მაგრამ იმედი აქვს, რომ ისე გაუგებენ, როგორც თქვა და კუდს არ გამოაბამენ.

— პრესის ტენდენციურობის პრობლემით დაინტერესებულმა დავიწყე მასალების შეგროვება. საკმაოდ დიდი დოსიე მაქვს იმაზე, თუ რა ხდება ამ თვალთახედვით ამა თუ იმ ქვეყანაში. ეს პუბლიკაციები ძალიან საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგალითად, არჩევნების კამპანია იმ პრობლემას, რომელზეც ვსაუბრობთ, ყველგან განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის და ამწვავებს.

ჩანართი ტრაგედიის გამო

20 ივნისს ხოლიკო ხაბეიშვილი მოკლეს: ვერაგულად, ჩასაფრებით. კიდევ ერთი მსხვერპლი ქართული ტერორიზმის.

21 ივნისს თბილისში ჩამოსულმა თეიმურაზ სტეპანოვმა დამირეკა:

— ეს რა უბედურებაა! — მერე რაღაცნაირად ჩამქრალი ხმით მითხრა, რომ სხვა ქვეყნების წინასაარჩევნო პერიოდისათვის დამახასიათებელი სიმახინჯე — მორალურ-პოლიტიკური ტერორის ორგანიზებული კამპანია, საქართველოში, ჩანს, მის ველურ ფორმად — ადამიანის სიცოცხლის ხელყოფად ტრანსფორმირდება. ჩვენი მეგობრის მკვლელობა ამის სამწუხარო დადასტურებაა.

სამწუხარო და ტრაგიკული...

დავუბრუნდეთ ინტერვიუს.

• • •

— მოსკოვის „НТВ“-ს პოპულარული ტელეპროგრამა „იტოგის“ წამყვანი და ავტორი სერგეი კისელიოვი ახლახან, მორიგ გამოშვებაში, კვლავ შეეხო იმიჯმეიკერობის — პოლიტიკური სახის შესაქმნელად მიმართული საქმიანობის საკითხს. თავისი არსით იმიჯმეიკერობა იგივეა, რაც საქონლის, ნაწარმის ლამაზად და მომგებიანად მიწოდება. შედარება ბარი-ბარშია. თუმცა არც გამარტივება ეგების. პრობლემა კი ის არის, რა მიჯნამდე შეგვიძლია თავს უფლება მივცეთ მივიდეთ პროფესიონალი ჟურნალისტები ცოცხალი პოლიტიკური მოღვაწისა და მისი იდეების გასაღების მცდელობაში. თანაც, ჩვენი საქმე ვაკეთოთ ისე, რომ არ შევარყიოთ საზოგადოების, ხალხის, ერის ცხოვრების საფუძველი.

სად გადის ის რუბიკონი, რომლის გადაბიჯება არ შეიძლება?

ამ კითხვას ჯერჯერობით პასუხი ვერ გავეცი.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მახსენდება. იგი უდავოდ ტრაგიკული პიროვნება იყო, რომელმაც პირწმინდად ყველაფერი წააგო: ვერცერთი წამოწყება წარმატებით ვერ დაამთავრა, რამდენიც უნდა ილაპარაკონ, რომ მას არ აცლიდნენ, ხელს უშლიდნენ. მაგრამ ერთი საქმე ასი პროცენტით მოიგო. ეს არის ეროვნული ლიდერის ისეთი იმიჯის შექმნა, რომელმაც, გარკვეული დროით, თითქმის მთელი საქართველო მისი ნების მორჩილ აღმსრულებლად აქცია.

თავისთავად იმიჯმესიას ფიგურა ახალი არ არის. მას მხოლოდ მაშინ აღიარებენ, როდესაც საზოგადოებრივი ცნობიერება საამისოდ მომზადებულია.

არ ვიცი, ექსპრეზიდენტს საკუთარი პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად რაიმე პროგრამა გააჩნდა თუ არა, გარკვეული ჯგუფი მუშაობდა თუ არა ამ საკითხზე, თუ ყველაფერი სპონტანურად ჩამოყალიბდა. მაგრამ უეჭველია, რომ აქ თავისი როლი ითამაშა მამის სახემ, მისმა ავტორიტეტმა და მემკვიდრეობამ. „იმუშავა“ ბიოგრაფიის გარკვეულმა მომენტებმა, რომელთაგან ზოგიერთი კლასიკური ხერხით წინა პლანზე გამოჰქონდათ, ზოგიერთს მომგებიანი ახსნა მოუძებნეს, დანარჩენს საერთოდ არ ახსენებდნენ. ყველაფერი ეს ცნობილია და მეც არ გავაგრძელებ სიტყვას.

ერთ რამეს კი ვიტყვი. ექსპრეზიდენტის იმიჯის შექმნას ხელი შეუწყო მის მიერ შემოთავაზებულმა ღვთის რჩეული ერის კონცეფციამ. მაგრამ პრაქტიკულად არ არსებობს ერი, რომელსაც სწორედ ასეთი კონცეფციით არ ესარგებლოს თავისი ისტორიის გარდამტეხ პერიოდებში. არც ჩვენ ვყოფილვართ გამონაკლისი.

ასეთი იმიჯი ყოველთვის საწინააღმდეგოდან გამოდის, მისთვის აუცილებლად საჭიროა მტრის სარკეული გამოსახულება.

აი, ამიტომ დაუპირისპირდა გამსახურდია შევარდნაძეს, ამ უკანასკნელს კი, მის წინააღმდეგ პრესაში გაჩაღებული ალვირახსნილი და დაუოკებელი კამპანიის მიუხედავად, 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბრამდე გამსახურდიაზე ცუდი სიტყვა არ დასცდენია. ამას დაგიდასტურებთ არა მარტო ყველა, ვინც ჩემნაირად მაშინ ყოველთვის შევარდნაძის გვერდით იყო, არამედ ისეთი პიროვნებებიც, როგორებიც არიან ბეიკერი, დიუმა, გენშერი. მათ, რა თქმა უნდა, აინტერესებდათ ერთ-ერთი ახალი ხელმძღვანელის ფიგურა...

არც ერთი სიტყვა...

იმდროინდელ საქართველოში ყველაფერი მითოლოგიის დონეზე წარიმართა: საკუთარი პიროვნების მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური წარმოჩენა და, წარმოიდგინეთ, რომ საზოგადოებრივმა აზრმა მიიღო ეს, რადგან ჩვენი ცნობიერება სამართლებრივი, დემოკრატიული ცნობიერების დეფიციტის პირობებში მაინცა და მაინც მითებით საზრდოობს. და დაიწყო: „კრემლის აგენტი“, „მამლუქი“, პარალელები მუშნი ზარანდიასთან და ასე შემდეგ.

მაგრამ რა ფასი აქვს ამ მითებს, მოვლენების განვითარებამ გვიჩვენა: მესიას ხალხი არ გაჰყვა.

ჟურნალისტებმაც ხელი გამოიღეს ამგვარი იმიჯის შექმნაში. ბევრი მათგანი დღეს ისეთივე თავგამოდებით აქებს შევარდნაძეს, როგორი მონდომებითაც იმ პერიოდში აძაგებდა. თუმცა რწმენა რწმენაა, და ვერავის ვერაფერს უსაყვედურებ.

— ახლა ქმნიან შევარდნაძის სახეს?

— მგონია, არა. რომელიმე გუნდი ამაზე სპეციალურად რომ მუშაობდეს, ასეთი რამ არ არის.

დიახ, გუნდი.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი. რუსეთის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულია ყველა პაბლიკ რილეიშნზი. ერთ-ერთი ასეთი ფირმის ხელმძღვანელმა, ჩემმა ამხანაგმა, რომლის გვარს ვერ დავასახელებ, რადგან მაშინ უნებურად კომერციულ საიდუმლოს გავცემ, გასულ პარასკევს მითხრა, რომ მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს ორი პარტია წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების საკითხებზე. ეს საქმე კოლოსალური თანხა ჯდება. ლაპარაკია არა მარტო იმ „ტვინებზე“, რომლებმაც უნდა ურჩიონ უკეთ როგორ წარმართონ ეს ღონისძიება, არამედ გიგანტურ სარეკლამო კამპანიაზეც და ასე შემდეგ. რუსი პოლიტიკოსები ახლა უკვე იწყებენ პროფესიონალი იმიჯმეიკერების სამსახურის გამოყენებას.

პირველი მაგალითი, რომელიც მახსენდება: კოლომნის საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად ახლის არჩევნები ჩატარდა. აქ დეპუტატობის კანდიდატის ელენე მავროდის („МММ“-ის ყოფილი პრეზიდენტის მავროდის ცოლის) იმიჯს ქმნიდა ვინმე ეფიმ ოსტროვსკი, რომლის კლიენტებმაც, მისი თქმით, 13 არჩევანი მოიგეს. ამასთან ერთად მას ჩაუტარებია დისკრედიტაციის რამდენიმე კამპანია და წარმატებითაც. ამას ეს კაცი დაუფარავად ლაპარაკობს.

ასე იქმნება დღეს იმიჯი.

შევარდნაძის შესახებ შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ არასოდეს, არც საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში, არც შემდეგ მას არ უსარგებლია პროფესიონალი იმიჯმეიკერების მომსახურებით.

შევარდნაძე თავის სახეს თვითონ ქმნის თავისი საქმეებით, თავისი მოქმედებით. თუმცა აქაც უნდა დავაზუსტოთ, კი არ ქმნის საგანგებოდ და გამიზნულად, არამედ გამომდინარეობს მისი მოქმედებიდან და საქმეებიდან.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოკლედ გეტყვით.

ცხოვრებაში არც თუ იშვიათად ისეთი სიტუაცია იქმნება, როდესაც ადამიანი, მისი ბუნება სრულად გამოვლინდება, ხდება მისი გონების, ნების, კალობის, ადამიანურ თვისებათა სრულად გამომჟღავნება.

არაერთხელ იყო ასეთ სიტუაციაში ედუარდ შევარდნაძე — მარტოდმარტო გონებაარეული და ტვინგადაბრუნებული ხალხის მასის წინაშე ლიხნში, თბილისის სტადიონზე აბობოქრებული, კონტროლდაკარგული, ეგზალტირებული ათიათასობით ადამიანის შუაგულში, აფხაზეთის ომზე და აქაურ ტრაგიკულ სიტუაციებზე აღარაფერს ვამბობ. ყველგან სრულად გამოიკვეთა მისი სახე, გნებავთ, იმიჯი.

ამაზე არავის უმუშავია, ვერც იმუშავებდა. ასეთ ექსტრემალურ მომენტებს ვერავინ გათვლის. შევარდნაძე საგანგებოდ კი არ არჩევდა ასეთ სიტუაციებს, არამედ შეგნებულად შედიოდა საშიშროების მორევში, რათა ჩაექრო და ჩაეხშო ზღვარგადასული ვნებათა ღელვა, და აცხრობდა.

სარგებლობდა თუ არა ედუარდ შევარდნაძე სპიჩრაიტერის მომსახურებით? სარგებლობდა. მე მომიწია მასთან მუშაობა. სპიჩრაიტერი, მოგეხსენებათ, ამზადებს ოფიციალური გამოსვლის ტექსტებს იმისი იდეების საფუძველზე, ვისთანაც მუშაობს. ასეა მიღებული საერთაშორისო პრაქტიკაში და სპიჩრაიტერი მაღალი დონის ყველა საერთაშორისო მოღვაწეს ჰყავს. ბევრს პირადად ვიცნობ, მაგალითად, ბეიკერის, გენშერის სპიჩრაიტერებს. ხშირად და სასარგებლოდ გვისაუბრია, პროფესიული გამოცდილება გაგვიზიარებია ერთმანეთისთვის.

დასავლეთში არავინ მალავს ამ პროფესიას. ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი კლუბები და გაერთიანებები არსებობს. პრეზიდენტ რეიგანის სპიჩრაიტერმა ქალბატონმა პეგი ნუნემ წიგნიც კი გამოსცა მისი შეფის სიტყვების მომზადების ისტორიაზე.

ასე რომ, ეს ყველაფერი სამუშაო სიტუაციაა.

სხვა დატვირთვა ეძლევა სპიჩრაიტერს საარჩევნო კამპანიის პროცესში. ამჟამად რუსეთში პოლიტიკოსები უკვე აყალიბებენ თავიანთ გუნდებს, რომლებშიც ოფიციალურად შედიან სპიჩრაიტერები.

მე უკვე შემომთავაზეს რამდენიმე წინადადება გადავიდე რომელიმე ასეთ გუნდში და დიდ ფულად ვიმუშაო იმ პიროვნებათა, ვთქვათ ასე, სიტყვიერი უზრუნველყოფისათვის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს დეპუტატობისათვის. ბუნებრივია, რომ უარს ვამბობ, რადგან არ მსურს. დავუბრუნდეთ ბატონ ედუარდს.

ალბათ, ყველამ იცის, რომ არც ერთი სიტყვა, რომლითაც იგი საქართველოში გამოდის, სხვის მიერ დაწერილი არ არის.

მის გარეგნობაზე სპეციალურად არავინ მუშაობს. იგი ისეთია, როგორიც არის.

მახსენდება (ადრე იყო ეს ამბავი), როდესაც ერთმა მისმა ახლობელმა ურჩია ჩაცმულობის ერთი დეტალის შეცვლა.

— რატომო? — ჰკითხა.

— მიღებული არ არისო.

— მე რა, ამაზე ავაგო მსოფლიო პოლიტიკა?

აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ დასავლელი მიმომხილველები ყოველთვის აღნიშნავდნენ მის ელეგანტურობას.

• • •

ასე ყვებოდა თეიმურაზ სტეპანოვი, რომელმაც ცოტა მაინც ახადა ფარდა თემას, რომელსაც ადრე გვერდს ისე აუვლიდნენ, თითქოს არც არსებობდა.

საქართველოში ახლაც პროვინციულ დუმილს ვარჩევთ. სამაგიეროდ რუსეთში ლამის მთელი მიმართულება შეიქმნა ამგვარი ლიტერატურისა. იმდენს წერენ და ბეჭდავენ, ცოტა უხერხულიც კი არის.

განსაკუთრებით ნაყოფიერნი გამოდგნენ გორბაჩოვის მრჩევლები, კონსულტანტები, პრესმდივნები, დაცვის თანამშრომლები...

არც სხვები აკლებენ ხელს. რუსლან ხასბულატოვმა „რუსეთის დიდი ტრაგედიის“ შემდეგ უკვე მოასწრო ახალი წიგნის გამოქვეყნება — „როგორ არ მომცეს საშუალება შემეჩერებინა ომი ჩეჩნეთში“. ის კი არა, გენერალმა ლებედმაც სცადა ბედი და 47 გვერდიანი(!) წიგნი გამოსცა. და ასე შემდეგ და მისდაგვარი.

სამაგიეროდ, როგორც ვთქვი, ჩვენ ვართ ჩუმად. და ამ ორ უკიდურესობას შორის — ჩვენი მკითხველი, როგორც ყველაფერში, აქაც ლატაკურ ულუფაზეა.

არმაზ სანებლიძე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეც. კორ.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სრ“ № 73.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დიდმნიშვნელოვანი კომპრომისი

მწვავე საპარლამენტო-სამთავრობო კრიზისი რუსეთში, რომელიც 21 ივნისს წარმოშვა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ვიქტორ ჩერნომირდინის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმმა, 10 დღე გრძელდებოდა და 1 ივლისს დამთავრდა. სახელმწიფო სათათბირომ 1 ივლისს განმეორებით აღარ გამოუცხადა მთავრობას უნდობლობის ვოტუმი. აღმასრულებელი ხელისუფლება მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა კრიზისის დასაძლევად. პრეზიდენტმა ბორის ელცინმა უშიშროების საბჭოზე საგანგებოდ განიხილა ჩეჩნეთში შექმნილი ვითარება, ბუდიონოვსკის ტრაგედიის შედეგად გამოწვეული პოლიტიკური კრიზისის ყველა ასპექტი. სხდომაზე დამსწრე ძალისმიერი უწყებების ხელმძღვანელებმა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა პავლე გრაჩოვმა და ვიქტორ ერინმა, კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა სერგეი სტეპაშინმა აღიარეს, რომ მათმა უწყებებმა ვერ აიცილეს ბუდიონოვსკის ტრაგიკული აქცია. პრეზიდენტმა ბორის ელცინმა თანამდებობებიდან გაანთავისუფლა ვიქტორ ერინი, სერგეი სტეპაშინი, ვიცე-პრემიერი, ეროვნულ საკითხთა და ეროვნული პოლიტიკის მინისტრი ეგოროვი.

პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა სახელმწიფო სათათბიროში კენჭისყრის შემდეგ განაცხადა, რომ უკვე შეიძლება წერტილი დაესვას საპარლამენტო-სამთავრობო კრიზისს, რომ კრიზისის დაძლევის შემდეგ ქვეყანაში კარგი შესაძლებლობა იქმნება ყოველგვარი რყევების გარეშე შეხვდნენ დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებს. პრემიერის აზრით, ამჟამად რუსეთის ეკონომიკაში გარდატეხის მომენტი დადგა, რომ სტაბილიზაციას პოლიტიკური ვითარება განაპირობებს. თქვა, რომ სათათბიროდან უკან გამოითხოვს მთავრობისადმი ნდობის საკითხს, რომელიც მან დასვა, რათა დაეჩქარებინა წარმოშობილი მწვავე პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტა.

როგორც ჩერნომირდინმა განაცხადა, პოლიტიკური კრიზისის დაძლევა პრეზიდენტის პირადი ჩარევით მოხდა. იგი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციათა ხელმძღვანელებთან.

დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტამ რუსეთში კეთილნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინა გროზნოში მიმდინარე მოლაპარაკებაზე (ფედერალურ ხელისუფლებასა და სეპარატისტთა დელეგაციებს შორის). პარასკევს მოლაპარაკების დროს მნიშვნელოვან კომპრომისს მიაღწიეს პოლიტიკური პრობლემების მთელი ბლოკის, მათ შორის ჩეჩნეთის სტატუსის პრობლემის გადაწყვეტაში პარასკევს და შაბათს დელეგაციები ინტენსიურ მოლაპარაკებას განაგრძობდნენ, რათა შეეჯერებინათ ეროვნული თანხმობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის უმარ ავტურხანოვისა და ეროვნული აღორძინების მთავრობის მეთაურის სალამბეკ ჰაჯიევის ერთობლივი განცხადება — გადადგნენ თანამდებობიდან თუ ასევე მოიქცევა ჯოხარ დუდაევი. ამით მათ დაადასტურეს რუსეთის დელეგაციის შეთავაზებული ეგრეთწოდებული „ნულოვანი ვარიანტი“. ჩეჩნეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა უსმან ემაევმა განაცხადა, რომ მას ვერ წარმოუდგენია ამგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობა. მან საფრანგეთის გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ რუსეთის მხარე დაჟინებით მოითხოვს ჩეჩნეთის რუსეთის შემადგენლობაში დარჩენას, კვირას მოლაპარაკება გროზნოში შეწყდა. ორშაბათს დელეგაციები კვლავ განაახლებენ მოლაპარაკებას.

კეთილი ნების დასადასტურებლად ჩეჩნეთის მხარე აპირებს საჯაროდ დაიწყოს თავისი მძიმე ტექნიკის განადგურება, მოედანზე ერთი ტანკისა და რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორის მოსპობით. შაბათს და კვირას გროზნოში მოლაპარაკების მონაწილეები ელოდნენ ჯოხარ დუდაევის რეაქციას ავტურხანოვისა და ჰაჯიევის ერთობლივ წინადადებაზე, რომლებიც ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერისგან პასუხს წერილობით ითხოვდნენ.

გროზნოში მოლაპარაკების მონაწილეებმა შაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში კმაყოფილება გამოთქვეს რუსეთში საპარლამენტო-სამთავრობო კრიზისის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით. შაბათს, როცა ისინი იხილავდნენ პოლიტიკური საკითხების ბლოკს, მათ კვლავ დაადასტურეს, რომ არაუგვიანეს 5 ნოემბრისა ჩეჩნეთში უნდა ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები საერთაშორისო მეთვალყურეების მონაწილეობით. რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარის მოადგილის რამაზან აბდულატიპოვის განცხადებით, არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩეჩნეთის ეროვნული აღორძინების მეთაურმა სალამბეკ ჰაჯიევმა, ჩეჩნეთის ეროვნული თანხმობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარემ უსმან ავტურხანოვმა და რუსეთის უზენაესი საბჭოს ყოფილმა სპიკერმა რუსლან ხასბულატოვმა.

ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით მოსკოვში პრესკონფერენციაზე დიდმნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა პრემიერმა ვიქტორ ჩერნომირდინმა. კერძოდ, მან თქვა, რომ იგი ჩაერთვება ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოწესრიგების მოლაპარაკებაში გროზნოში იქნება ეს თუ მოსკოვში.

ირაკლი ჯაფარიძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული

თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა

აცხადებს მიღებას 1995-1996 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

1. **წარმოების ეკონომიკა და მართვა — მენეჯერი**, დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება (ქართული სექტორი);
2. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი**, დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება (ქართული და რუსული სექტორი);
3. **ვაჭრობის ეკონომიკა და მართვა — მენეჯერი**, დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება (ქართული სექტორი);
4. **საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი**, დღისა და საღამოს დასწრებული (ქართული სექტორი).

ბიზნესის და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად.

სწავლების ვადა 4 წელია. უმაღლესი განათლების მქონე პირები მიიღებიან უგამოცდოდ უმაღლესი სასწავლებლის მე-2 კურსზე.

დღისა და საღამოს დასწრებულ განყოფილებებზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. **ქართული ენა და ლიტერატურა** (ზეპირი), 2. **საქართველოს ისტორია** (ზეპირი).

უმაღლეს სკოლაში უკონკურსოდ ჩაირიცხებიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული ცენტრის „ეკონომიკური განათლების“ მენეჯერთა და ბიზნესის ერთწლიანი სკოლის კურსდამთავრებულები.

თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაიცავენ სადიპლომო ნაშრომს და ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდას, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიეცემათ უმაღლესი განათლების დიპლომი.

თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში **სწავლა ფასიანია.** სტუდენტის სწავლის საფასური წელიწადში, როგორც დღის, ისე საღამოს განყოფილებაზე სპეციალობების მიხედვით დიფერენცირებულია:

1. **ვაჭრობის ეკონომიკა და მართვა — მენეჯერი — 60 აშშ დოლარის** ეკვივალენტური ეროვნული ფულის ნიშანი.
2. **წარმოების ეკონომიკა და მართვა — მენეჯერი და საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი — 65 აშშ დოლარის** ეკვივალენტური ეროვნული ფულის ნიშანი.
3. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი — 80 აშშ დოლარის** ეკვივალენტური ეროვნული ფულის ნიშანი.

სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება ნაღდ ანგარიშზე და აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით.

სასწავლო წლის დასაწყისში უმაღლესი სასწავლებლის რექტორატსა და სწავლის ქირის გადამხდელებს შორის ფორმდება ხელშეკრულება ურთიერთვალდებულებათა შესახებ.

უმაღლეს სკოლაში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: **საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი, სამედიცინო ცნობა** (ფორმა 086), **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6 ცალი ფოტოსურათი** (ზომით 3X4). **პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.**

საბუთების შემოტანის დროს აბიტურიენტი საორგანიზაციო ხარჯებისათვის იხდის გარკვეულ თანხას.

უმაღლეს სკოლაში ჩარიცხული აბიტურიენტები ვალდებულნი არიან სწავლის წლიური საფასური გადაიხადონ ჩარიცხვის სიების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 4 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 14-დან 19 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 7 აგვისტოდან განრიგის მიხედვით.

მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ბაგრატიონის ქ. 58, მე-100 საშუალო სკოლის შენობა (მეტრო სადგურ „წერეთელთან“).
ტელეფონები: 99-96-46, 93-22-60, 99-68-97.

რექტორატი.

სადაგი დღეები

როცა ადამიანი სტიქიაზე ძლიერია

ოფიციალური ცნობა:

1995 წლის პირველ ხუთ თვეში რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 494 ხანძარი, რომელთაგან გამოწვეულმა ზარალმა 107 მილიარდი კუპონი შეადგინა. დაიღუპა 7 ადამიანი, სხეულის სიდამწვრე მიიღო 8 მოქალაქემ. ანალიზი მოწმობს, რომ 1994 წლის ამავე პერიოდთან შედარებით ხანძრების რიცხვი შემცირდა 27 პროცენტით, ხანძრების შედეგად გამოწვეული ზარალის ოდენობა კი გაიზარდა... 1099-ჯერ! ხანძრების უმრავლესობა (263) და მატერიალური ზარალის უდიდესი ნაწილიც (100.5 მილიარდი კუპონი) მოდის საცხოვრებელ სექტორზე. ხანძრების სიხშირით გამოირჩევა სახალხო მეურნეობის ობიექტებიც, რომლებზეც ხანძრის გაჩენის 192 შემთხვევაა დაფიქსირებული. 1995 წლის პირველ ნახევარში ხანძრები წარმოშობის მიზეზებით შემდეგი თანამიმდევრობით ნაწილდება: ელექტრომოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების უწესივრობა (171 ხანძარი), ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა (120), ცეცხლთან ბავშვთა ცელქობა (34).

ყველასთვის ცნობილია ვითარება: ცეცხლის ჩასაქრობად მისული ქვედანაყოფები, ძალებისა და საშუალებათა განლაგების შემდეგ, იწყებენ სტიქიასთან შეუპოვარ ბრძოლას და სულ მალე... სახანძრო ავტოცისტერნაში წყალი თავდება. ასეთი მოვლენა მრავალგზის გაუკილავს საზოგადოებას. არადა, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ სახანძრო ავტომანქანებში ავტონომიური წყლის მარაგი მხოლოდ 5-6 წუთის სამყოფია. მისი ამოწურვის შემდეგ ავტომანქანები უერთდება სტაციონარულ წყალსაცავებს, ე. წ. ჰიდრანტებს ან ავზის ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო წყალსაცავებს. მათი მდგომარეობა კი სავალალოა. თვით დედაქალაქშიც კი ჰიდრანტების უმრავლესობა დაზიანებულია, ჩამარხულია მიწაში, დაფარულია ასფალტის საფარით, არაიშვიათად ჰიდრანტები... ექცევა სხვადასხვა ნაგებობის ქვეშ. მაგალითად, თავის დროზე არაერთი ჰიდრანტი დაფარა იმ ბაზალტის ფილებით, რომლებიც მშენებლებმა დააგეს დავით აღმაშენებლის გამზირის რეკონსტრუქციის დროს ტროტუარების ერთი ნაწილის მოსაპირკეთებლად. უფრო მეტიც, თე[illegible]ტის, მეტრომშენის, ზემო ფონიჭალის დასახლებებში, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არის ჰიდრანტები. არადა, ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების მიხედვით, თითოეული კორპუსი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ტიპის სტაციონარული წყალსაცავით. იმ[illegible] უკიდურესი დაუდევრობის გამო, ვინც პასუხს აგებს ხანძარსაწინააღმდეგო წყალსაცავების მოვლა-პატრონობაზე, არასახარბიელო მდგომარეობაშია ავზის ტიპის წყალსაცავთა დიდი უმრავლესობაც.

ცეცხლის ქრობის საქმეს დიდად აფერხებს აგრეთვე კავშირგაბმულობის სისტემაში არსებული ხარვეზები. სატელეფონო ხაზები მოუწესრიგებელი და დაზიანებულია (თუ გინდა ტელეფონით „01“-ს ვერ დაუკავშირდე, „01“ უნდა აკრიფო!). ამას დაუმატეთ ენერგოკრიზისით გამოწვეული შეფერხებანი, როცა ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის კავშირგაბმულობის პუნქტში სპეციალური აპარატურა, კავშირის პულტი და ქალაქის ტელეფონები სრულიად გამოირთვება ხოლმე და გასაგები გახდება იმ მოქალაქეთა სასოწარკვეთილება, აღმოდებული სახლიდან მეხანძრეებთან ფეხით რომ მირბიან, რათა ხანძრის შესახებ აუწყონ. ამ გარემოებათა გამო ხშირად იკარგება ძვირფასი დრო, რომელიც ხანძრის ქრობისას წარმატებას განაპირობებს.

მავანთათვის ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ცეცხლის ქრობა ელექტრობის გამორთვით იწყება. სტიქიასთან წარმატებით ბრძოლაში მართლაც დიდია თელასის თანამშრომლების როლი, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადოდ როდი ფასდება ეს. ხანძრით დაზარალებულთა ხმაურიან გარემოცვაში მოხვედრილი მეხანძრის შეშფოთებას ისიც აძლიერებს, რომ თელასის თანამშრომლები ხშირად აგვიანებენ ან საერთოდ ვერ მიდიან შემთხვევის ადგილზე. მეხანძრეთა თავდადება და პროფესიონალიზმი, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება რომ არა, ვინ იცის რამდენი სიცოცხლე შეეწირებოდა ცეცხლის სტიქიას.

საშინელი რამ არის ხანძარი... მხოლოდ საქმის დიდ სიყვარულსა და მოვალეობის მაღალ გრძნობას ძალუძს ყველა იმ სიძნელის გადალახვა, რასაც დღეს მეხანძრე აწყდება. არანაირი ჯილდო, წოდება და ანაზღაურება არ ჭირდება მეხანძრეს მსხვერპლის გაღებისათვის. ჩვენთვის, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალრიცხოვანი კოლექტივის წევრთათვის, კაცური კაცის სახელიც საკმარისი გასამრჯელოა!

დაბოლოს, ერთი სასიხარულო ფაქტის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ ქალბატონმა დორის პლატმა ამერიკელი ხალხის სახელით ედუარდ შევარდნაძის ფონდს „დემოკრატია და აღორძინებას“ გადასცა ორი მაღალი კლასის სახანძრო ავტომანქანა, რომლებმაც თბილისის ვაკისა და საბურთალოს რაიონების სახანძრო დეპოებში დაიკავეს ადგილი. საქართველოს რესპუბლიკის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პირადი შემადგენლობა მადლობის ნიშნად ქედს იხრის სიკეთით მოსილი ამერიკელი ხალხისა და მისი ღირსეული წარმომადგენლის ქალბატონ დორის პლატის წინაშე, აგრეთვე მადლობას უხდის ამ საქველმოქმედო აქციის სულისჩამდგმელებსა და განმახორციელებლებს — ფონდ „დემოკრატია და აღორძინებას“ და ჩვენ თანამემამულეს ქალბატონ ქეთევან იოსელიანს.

ავთანდილ მახარაშვილი,

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი, პოლიციის კაპიტანი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 4 ივლისიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	930,150.29	კუპონი
ავსტრიული შილინგი	132,483.69	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,053,610.40	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	453,198.10	კუპონი
გერმანული მარკა	931,565.45	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	831,521.60	კუპონი
დანიური კრონი	238,663.73	კუპონი
100 იტალიური ლირა	79,412.30	კუპონი
კანადური დოლარი	944,562.58	კუპონი
ნორვეგიული კრონი	209,134.42	კუპონი
აშშ დოლარი	1,300,000.00	კუპონი
ფინური მარკა	304,314.01	კუპონი
ფრანგული ფრანკი	265,603.35	კუპონი
შვედური კრონი	178,470.69	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1,121,655.35	კუპონი
10 იაპონური იენი	152,671.22	კუპონი
ეკიუ	1,715,089.03	კუპონი
10 ესპანური პესეტა	106,426.40	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	57,311.15	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2,119,779.20	კუპონი
ისლანდიური კრონი	20,663.07	კუპონი
ქუვეითური დინარი	4,346,371.53	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	8,024.02	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	88,086.60	კუპონი
სინგაპურული დოლარი	930,431.03	კუპონი
10 თურქული ლირა	295.06	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	382,909.87	კუპონი
რუსული რუბლი	235.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	266,607.50	კუპონი
ლატვიური ლატი	2,058,745.70	კუპონი
ესტონური კრონი	95,525.15	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	726.15	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	16,309.00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	232,845.05	კუპონი
ყირგიზეთის სომი	100,133.50	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	904.75	კუპონი
უზბეკეთის სუმი	38,638.70	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	242.05	კუპონი
სომხური დრამი	2,615.55	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ყურადღება!

სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სოციოლოგიური კვლევის სამსახური სისტემატურად ატარებს გამოკვლევებს პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების რეიტინგის შესახებ. ბოლოს ასეთი გამოკვლევა ჩატარდა ივნისის თვეში.

დაინტერესებულმა პირებმა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ინფორმაციისათვის მიაკითხეთ სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკას.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი № 24. ტელ.: 22-37-05.

ინფორმაცია

აღიარება

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელმა კომიტეტმა კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის თავმჯდომარეობით, გამოაცხადა ამ პრემიის ახალი ლაურეატები.

საკომპოზიტორო ხელოვნების დარგში პრემია დაიმსახურა კომპოზიტორმა ალექსანდრე შავერზაშვილმა „საფორტეპიანო ტრიოსათვის 8".

საშემსრულებლო ხელოვნების დარგში პრემიები მიენიჭათ თენგიზ მუშკუდიანს — მრავალწლიანი ნაყოფიერი საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის; მაია თომაძეს (სიკვდილის შემდეგ) — ეთერის როლის შესრულებისათვის ოპერაში „აბესალომ და ეთერი"; პაატა ბურჭულაძეს — აბესალომისა და მალხაზის როლების შესრულებისათვის ოპერებში „აბესალომ და ეთერი" და „დაისი" ქუთაისის ოპერის სცენაზე.

მუსიკისმცოდნეობის დარგში პრემია მიენიჭა ანტონ წულუკიძეს (სიკვდილის შემდეგ) მონოგრაფიისათვის „შალვა მშველიძე".

სომხური კინოთემა

საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში გაიმართა ხმის ოპერატორთა და კინომენეჯერთა პირველი გამოშვება და აქ პირველად დაიცვეს დიპლომი, რომელიც სხვა ქვეყნის კინემატოგრაფიის ისტორიას მიეძღვნა. „სომხური მხატვრული კინოს მუნჯი პერიოდი", — ასეთი გახლდათ სადიპლომო თემა კინომცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის მედეა ხვიტიასი (პროფესორ გიორგი დოლიძის სახელოსნო).

დიპლომში დაცვას ესწრებოდა საქართველოში სომხეთის საელჩოს კულტურის საკითხთა ატაშე აშოტ კირაკოსიანი.

ეკლესია დაწვას გადაარჩინეს

30 ივნისს, ცეცხლი გაუჩნდა თბილისში, ჭავჭავაძის (ყოფილი კალინინის) ქუჩაზე მდებარე კათოლიკურ ეკლესიას.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი გახდა ელექტროგამანაწილებლის გაუმართაობა, რომელიც ეკლესიის გუმბათზე მდებარეობს.

შემთხვევის ადგილზე გასულმა დიდუბის, ჩუღურეთის, ისნის, ვაკისა და საბურთალოს რაიონების მეხანძრეებმა ყველაფერი იღონეს, რათა ეკლესიაში შესულებს არაფერი დაეზიანებინათ, ამან გაართულა მდგომარეობა და ხანძარი გარედან ჩააქრეს.

მეხანძრეების თავდადებამ ეკლესია დაწვას გადაარჩინა. ეკლესიის მოძღვარმა მადლობის ნიშნად დალოცა მეხანძრეები.

ეძებენ მოძღვარს

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ცნობით, 1995 წლის 16 ივნისს, გლდანის ლოტკინის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოდან გავიდა და აღარ გამოჩენილა ამ ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი მამა ვასილი (ვასილ მელაძიაშვილი), დაბადებული 1946 წელს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გლდანის რაიონის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მოქალაქეებს, ვისაც რაიმე ინფორმაცია გაქვთ მამა ვასილის ადგილსამყოფელის შესახებ, გთხოვთ, შეატყობინოთ სამართალდამცავ ორგანოებს.

შემზარავი ფაქტი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიების წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს თბილისის ვაზისუბნის დასახლების მე-10 კორპუსის მცხოვრები ზაურ მაისურაძე. მას ბრალად ედება, რომ 2 ივლისს, საღამოს, 21 საათზე დაახრჩო თავისი საკუთარი შვილი — წლის და ორი თვის მერაბ მაისურაძე.

საქმეს იძიებს სამგორის რაიონის პროკურატურა.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

— ამას წინათ ტელევიზიით მოვისმინეთ გინეკოლოგ პალიკო კინწრაიას გამოსვლა, მან ბრძანა, რომ სამშობიაროები უფასოდ ემსახურებიან ავადმყოფებს (იგი არ გულისხმობდა მიმღებში გადასახდელ ოფიციალურ ტანხას).

თუ ასეა, რატომ გვახდევინებენ ექიმები, ბებია-ქალები და სანიტრები ფულს ჩვენთვის არც თუ ისე ხელმისაწვდომ ფასებში? ნუ გვიწყენთ, მაგრამ საავადმყოფოებისა და ექიმების გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ.

ქავთარაძე, ჩაჩარიძე, მერკვილაძე, წინამძღვრიშვილი, დოლიძე, ბაბიძე, არჩევანიძე, გაბუნია, ჯოჯუა.

ჩვენმა კორესპონდენტმა ია კალანდარიშვილმა განმარტება სთხოვა მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სკს ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ **პალიკო კინწრაიას:**

— საქმე ის არის, რომ არ გვახსოვს უკანასკნელად, ხელფასის გარდა, სახელმწიფომ როდის მოგვცა ქანგბადის, ბენზინისა და ოეთრეულის გასარეცხი ფული. ამიტომ ავადმყოფთა სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად მიმღებში თანხის გადახდა დაწესებულია ყველა სამკურნალო დაწესებულებაში. და, რა თქმა უნდა, სამშობიაროებშიც. მიმღებიდან შემოსული ფულით ხერხდება საოპერაციოებში და სამანიპულაციო განყოფილებებში თეთრეულისა და სამედიცინო ხელსაწყოების რეცხვა, სტერილიზაცია და ავადმყოფების ჟანგბადით მომარაგება.

ფაქტები, რომლებიც უხერხულობას ქმნის აღნიშნულ დაწესებულებასა და ავადმყოფს შორის, იმით არის გამოწვეული, რომ ჯერჯერობით არ არსებობს კანონი სამედიცინო დაწესებულების ფასიანი მომსახურების შესახებ, სამაგიეროდ არის სამთავრობო დადგენილება — 1 ივლისიდან სამკურნალო დაწესებულებების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფმა უნდა გადაიხადოს ჯანმრთელობის სამინისტროს კომპეტენტური კომისიის მიერ შემუშავებული სპეციალური ნუსხით დაწესებული შესაბამისი თანხა. ხოლო, რაც შეეხება სამშობიაროს არაკეთილსინდისიერ მუშაკებს, ისინი, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ უნდა განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

· დედაჩემი ზ. შარაბიძე გარდაიცვალა 1995 წლის 26 მარტს, მაშინ, როდესაც ვაუჩერი მასზე უკვე გამოწერილი იყო და უნდა აგვეღო. შეგვიძლია თუ არა განსვენებული დედის კუთვნილი ვაუჩერის მიღება?

ნანა სხირტლაძე, თბილისი.

გვიპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით გოგიშვილი: — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის № 14 დადგენილებაში შეტანილი დამატებითი ცვლილების თანახმად, ჩამოყალიბდა ახალი პუნქტი, სადაც ნათქვამია: საპრივატიზაციო ბარათები გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა მემკვიდრეებზე, მშობლებზე, მეურვეებზე, მზრუნველებზე, რომელთაც არ მიუღიათ ბარათი და გარდაიცვალნენ, ან გარდაიცვლებიან საპრივატიზაციო ბარათების მოქმედების პერიოდში 1995 წლის 1 თებერვლიდან 1996 წლის 15 ივნისამდე.

სამნი ევროპაში

მომავალ სეზონში ევროპის საკლუბო საფეხბურთო ტურნირებში ერთბაშად სამი ქართული გუნდი ითამაშებს! ბათუმის „დინამო" — თასების მფლობელთა, თბილისის „დინამო" და „სამტრედია" კი უეფას თასებზე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს კონტინენტის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის „ტასკ ფორსის" მორიგ სხდომაზე, ჟენევაში.

ამრიგად, წარმატებით დაგვირგვინდა საქართველოს ფეხბურთის მესვეურთა ხანგრძლივი მცდელობა — სარკმელი ევროპისაკენ არა მხოლოდ თბილისის დინამოელთათვის გაიჭრა. ეს ნდობა დიდ პასუხისმგებლობას გვანიჭებს თითოეულ ჩვენთაგანს — რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას.

პირველი ეტაპის კენჭისყრა იქვე, შვეიცარიაში 12 ივლისს გაიმართება.

ვაი მსაჯისაგან!

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი იუგოსლავიისა და ლიტვის ნაკრებებს შორის ერთ-ერთი მსაჯის — ამერიკელი ტოლედერის „დამსახურებით" სამარცხვინო ლაქად დააჩნდება სპორტის ამ პოპულარული სახეობის ისტორიას. მისი ზოგიერთი გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ბალტიისპირელებმა რამდენიმე წუთით მოედანი დატოვეს და სარბიელს მხოლოდ... მეტოქეთა თხოვნით დაუბრუნდნენ.

საბოლოოდ „იუგებმა" ალექსანდრე ჯორჯევიჩის ზუსტად შესრულებული ფანტასტიკური სამქულიანი ტყორცნებით მოიგეს ეს დრამატული ორთაბრძოლა 96:90 და დაიბრუნეს უმაღლესი წოდება, ბრინჯაოს მედლები ხორვატიელებს გადაეცათ, რომლებმაც მესამე ადგილისათვის შეხვედრა მასპინძლებთან 63:58 მოიგეს.

ტალანტების სამჭედლო

კალათბურთელ ბავშვთა პროფესიული ლიგის პირველი ჩემპიონატი ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის სპორტულ კომპლექსში ორ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა და მრავალი პერსპექტიული მოზარდი გამოავლინა.

რვათვიანი მარათონი დედაქალაქის „მთაწმინდის" (მთავარი მწვრთნელი ზაზა ზამთარაძე) დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა. ტურნირის მეორე და მესამე პრიზიორები გახდნენ „კალასი" (გივი ჩინჩალაძე) და „ბასი" (ზვიად დიდბარიძე).

უფროს ასაკობრივ ჯგუფში ბადალი არ ჰყავდა „მართვეს" (ავთანდილ აბრამიძე), რომელმაც ფინალში სოხუმის „კოლხას" (ვაჟა კვარაცხელია) სძლია.

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ პროფლიგის (პრეზიდენტი — მერაბ კეკელიძე) შექმნით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, რომლის სასიკეთო ნაყოფსაც ქართული კალათბურთი უახლოეს მომავალში მოიმკის.

ჩოგნი

„ელექსირი" თქვენც გიშველით!..

ძვირფასო რედაქცია!

ტელევიზიით გავიგე თვალის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ფირმა „ელექსირის" შესახებ. იქ მისვლისას, (მდებარეობს კოლმეურნეობის მოედანზე, ვაჩნაძის № 7). ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა — კაბინეტში თავაზიანად მიმიღო მეტად სანდომიანი სახის ახალგაზრდა ექიმმა ქალმა (იგი აღმოჩნდა ფირმის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მეცნიერ-მუშაკი მაკა გოგიაშვილი) დიდი გულისყურით მომისმინა, გამსინჯა და დამინიშნა მკურნალობა. თან დამაიმედა, რომ მხედველობა აღმიდგებოდა.

ფირმაში მისვლამდე თვალი ძლიერ მაწუხებდა. არასწორი მკურნალობის შედეგად, დამიქვეითდა მხედველობა და საერთოდ მისი დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდი.

ორი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ფირმა „ელექსირში" მიტარდებოდა სათანადო მკურნალობა და ქალბატონი მაკას წყალობით მთლიანად აღმიდგა მხედველობა.

ბედნიერებაა, როდესაც მკურნალს პროფესიონალიზმთან ერთად ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარიც აქვს.

მაკა გოგიაშვილი არის თავისი დარგის ბრწყინვალე სპეციალისტი, ერუდირებული და განათლებული ადამიანი. მაგალითად, მკურნალობის დროს სისხლიც გამიწმინდა და ამით მთლიანად მომეხსნა ყველა ტკივილი....

მინდოდა, ჩემი მადლიერება ჩამეწერა შთაბეჭდილებათა წიგნში, მაგრამ ქალბატონმა მაკამ მითხრა: „ჯერ რა გავაკეთეთ, შთაბეჭდილების წიგნი რომ გვქონდესო".

ამიტომ გამოგიგზავნეთ, თქვენ, ძვირფასო რედაქციავ, სამადლობელი, ვინძლო დაბეჭდოთ და ამით ჩემი დიდი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო მთლიანად ფირმა „ელექსირის" და კერძოდ მისი მშვენიერი ხელმძღვანელის — მაკა გოგიაშვილის მიმართ.

წაიკითხავს ამ სამადლობელს ვინმე — ჩემსავით გაჭირვებული და, მადლია, იქნებ მასაც უშველოს „ელექსირმა", რომელიც მდებარეობს კოლმეურნეობის მოედანთან, ნატო ვაჩნაძის ქუჩის № 7.

ირინე სურმავა,

მარტვილის რაიონი, სოფელი ზედა ნაგვაზაო.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოება „მოზარდის"

იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის

იურიდიული ფაკულტეტის დღისა და საღამოს განყოფილებებზე

სპეციალობით სამართალმცოდნეობა

სავალდებულო იურიდიული დისციპლინების გარდა, დღის განყოფილების სტუდენტები თანამედროვე ამერიკული მეთოდებით დამუშავებული ტრენინგების მეშვეობით შეისწავლიან: *ექსპერტული ფსიქოლოგიას, ბრალდებულის ფსიქოლოგიას, დანაშაულის ფსიქოლოგიას, არასრულწლოვანი დანაშაულის ფსიქოლოგიას, მოწმის ფსიქოლოგიასა* და სხვა, ასევე მთლიანობაში ისწავლება *ზოგადი და სასამართლო ფსიქოლოგია.*

ინსტიტუტს გააჩნია კრიმინალისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

სწავლება ფასიანია. საბუთები მიიღება 5 აგვისტომდე ყოველდღე 10 საათიდან 14 საათამდე, გარდა კვირისა.

გამოცდები ჩატარდება ტესტებით შემდეგ საგნებში:
1) ქართული ენა და ლიტერატურა; 2) საქართველოს ისტორია.

უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ!

საღამოს განყოფილებაზე ლექციები ტარდება შაბათსა და კვირას დღის საათებში. სწავლის ხანგრძლივობაა 5 წელი.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: *საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ოთხი ფოტოსურათი (3X4-ზე).*

ინსტიტუტის მისამართია: ქ.თბილისი, ტოვსტონოგოვის ქუჩა 2,
(შესახვევი დავით აღმაშენებლის 119/1-თან) ტელეფონი: 95-28-64

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი
„საქართველო"

აცხადებს

აბიტურიენტთა მიღებას
1995-96 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკურნალო საქმე;
2. პედიატრია;
3. სტომატოლოგია.

საბუთები მიიღება
15 ივლისამდე.
მისაღები გამოცდები ქიმია-ბიოლოგიაში
ჩატარდება 16-17 ივლისს.

მისამართი: ქ.თბილისი,
ბუდაპეშტის ქ. N1

ტელეფონი: 37 18 29
38 40 72
95 67 36

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტთან
არსებული
საერთაშორისო
ბიზნესის უმაღლესი
სკოლა

აცხადებს აბიტურიენტთა
მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

სამართალმცოდნეობა — ბიზნეს-იურისტი;
საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა;
საერთაშორისო ოპერაციების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი და საბანკო საქმე.

ცნობებისათვის მიმართეთ: უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, XI სართული, ოთახი 1108.

საქართველოს აგრობიზნესის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

აგროსამრეწველო ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი:

ა) სოფლის მეურნეობის საწარმოთა მენეჯერი (წარმოების ორგანიზატორ-ტექნოლოგი);
ბ) კვების მრეწველობის საწარმოთა მენეჯერი (წარმოების ორგანიზატორ-ტექნოლოგი);
გ) დოკუმენტწარმოება და მართვის დოკუმენტუზრუნველყოფა;

ეკონომიკის ფაკულტეტი:

ა) ფინანსები და კრედიტები. საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი;
ბ) საბანკო საქმე, საბანკო საქმის მენეჯერი;
გ) საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი. ბუღალტერ-აუდიტორი;

საგარეო ეკონომიკისა და კომერციის ფაკულტეტი:

ა) საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი;
ბ) აგრობიზნესის სამარკეტინგო-კომერციული სამსახურის მენეჯერი;
გ) საქონელმცოდნეობისა და სამომხმარებლო საქონლის ექსპერტი;

სწავლა ფასიანია, სწავლის ხანგრძლივობა — 5 წელი.

მისაღები გამოცდები ყველა სპეციალობაზე მოეწყობა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი) და გეოგრაფია (ზეპირი).

ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა განცხადებას რექტორის სახელზე უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები: საშუალო-სპეციალური განათლების დოკუმენტი (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 086), ექვსი ფოტოსურათი (3X4), პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

საბუთები მიიღება 30 ივლისამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 3-დან 10 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართია: ი. ჭავჭავაძის 37, (სტუდქალაქის ტერიტორია), ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტელ: 22-05-10.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი

აცხადებს 1995/96 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღებას დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:
ავტომატური ელექტროკავშირი;
მრავალარხიანი ელექტროკავშირი;
რადიოკავშირი, რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა;
საფოსტო კავშირი.

ტექნიკუმში მიიღებიან 9 და 10-კლასდამთავრებული ახალგაზრდები, აგრეთვე, საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები.

ტექნიკუმში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის;
მათემატიკა (ზეპირი).

განცხადებები მიიღება ყოველდღე, (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 16 საათამდე.

მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა № 48, ტელეფონი: 71-92-21; 71-92-23.

გახსენება

მერაბ დონაძე

ორმოცი დღეც მიილია, ჩვენო მერაბ!.. რა დროც უნდა გავიდეს, ჩვენთვის იმის გაფიქრებაც კი ძნელია, რომ ერთად აღარ მოგვიწევს ყოველი დილის გათენება, ათასგვარი პრობლემებით დამძიმებული სიცოცხლის, მაგრამ მაინც სიცოცხლის, შენ მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან გატარება.

რომ იცოდე, როგორ გვენატრები, შენი ალერსი და მოფერება სჭირდება შვილიშვილებს, შენი დამწუხრებული ოჯახის მომავალს... მაგრამ ვაი, რომ განგებასთან ყველა სულიერი უძლურია...

იძინე მშვიდად, სიკეთე იყო შენი ხანმოკლე სიცოცხლის დედააზრი და ამ სიკეთეს არავინ არ დაგივიწყებს. სიკეთე არ იკარგება...

შენი დამწუხრებული ოჯახი.

მანანა აბდუშელიშვილი

საყვარელო ბებია, შენ ჩემთვის დარჩი ლამაზ მოგონებად. გაუნელებელი დარდი და ტკივილი მოგვიტანა შენმა სიკვდილმა. შენი მუდამ მხიარული, მოფუსფუსე, და მოსიყვარულე სახე მარად გაჰყვება მთელ ჩემს ცხოვრებას. ორი მანანა, ბებია და შვილიშვილი, ვგრძნობდით ერთმანეთის დიდ სიყვარულს. ჩემს პატარა გულს დააკლდა შენი სითბო. ჩემი სული ტკივილს განიცდის...

და, როცა ძალიან მომენატრები, გულში ვიკრავ შენს სახსოვარ სურათს. მე, პატარა მანანამ, ვიცი, რომ შენ ჩვენთან არასდროს დაბრუნდები. არ დაიდარდო, ჩემო ლამაზო ბებია, შენი სიცოცხლე ჩემში გრძელდება.

პატარა მანანა.

ნოდარ რამიშვილი

55 წლით შემოიფარგლა თქვენი ცხოვრების წლები, ეს ხომ ხანმოკლე ახაკია მეცნიერების დიდ გზაზე, თუმცა ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოასწარით, როგორც მეცნიერმა, ხელმძღვანელ-ორგანიზატორმა, მამულიშვილმა.

თქვენი ბიოგრაფია დამშვენებულია მაღალი მეცნიერული რეგალიებით: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, დარგობრივი მეცნიერების ორგანიზატორი საქართველოში, პრესტიჟული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ვავილოვის სახელობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრემიის ლაურეატი, სამეცნიერო სექციების და საბჭოების წევრი, 70-ზე მეტი ნაშრომის ავტორი კვანტური ელექტრონიკისა და ჰოლოგრაფიის დარგში, რომლებმაც ფართო აღიარება პოვა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ასევე, საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. მაგრამ თქვენს ლამაზ ცხოვრებას მაინც ყველაზე მეტად ამშვენებდა განუმეორებელი ადამიანი-პიროვნება, მიუხედავად მკვეთრი და მოუსვენარი ბუნებისა, თქვენგან შორს იდგა ამბიციურობა, რაც ასე ფართოდ და მძიმე სენად მოსდებია ბევრ ადამიანს.

სიტყვაძუნწი, მაგრამ საქმით უხვი! ამ სიტყვაძუნწობაში ბევრჯერ გამოკრთოდა სადა იუმორი, რომელიც თვალნათლივ გადაგვიშლიდა თქვენი მდიდარი ბუნების შინაგან საუნჯეს.

სამშობლო-საქართველო იყო თქვენი სალოცავი ხატი, მაგრამ თქვენ ეს სიტყვებით არასოდეს განგიცხადებიათ, მას სიყვარულს საქმით ლაღადებდით. თქვენ ცხოვრების პრინციპად გაიხადეთ დიდი ვაჟას შეგონება და როცა „ჩვენი მიწის მეცილეებზე" მიდგა ჯერი, მთელი თქვენი მოღვაწეობის შინაარსი საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი მთლიანობის შენარჩუნების გარანტს — ქართული არმიის თანამედროვე მეცნიერების დონით აღჭურვისაკენ იყო მიმართული. სწორედ ამ მიზეზს ემსახურება თქვენს მიერ დაფუძნებული ავტომატური სისტემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის კოლექტივი მწარედ განიცდის თქვენს დაკარგვას. ჩვენგან თქვენი ხსოვნის ყველაზე დიდი დადასტურება იქნება იმ კეთილშობილური მიზნების ხორცშესხმა და განხორციელება, რასაც შეგნებული ცხოვრება მოახმარეთ.

ავტომატური სისტემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „სხივის" კოლექტივი.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის I და II კურსებზე არასრული და საშუალო სკოლის ბაზაზე, წარმოებისაგან მოწყვეტით, სამედიცინო სასწავლებლებში შემდეგ სპეციალობებზე:

თბილისის I სამედიცინო სასწავლებელი
თბილისი, ხოშარაულის ქ. № 6. ტელ: 34-15-48.
მედდის საქმე (საერთო პროფილი);
საბებიო საქმე;
ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.

თბილისის II სამედიცინო სასწავლებელი
თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 42, ტელ: 34-58-63.
საბებიო საქმე;
მედდის საქმე (საერთო პროფილი);
ბავშვთა დაწესებულებების მედდა.

თბილისის III სამედიცინო სასწავლებელი
თბილისი, ლესელიძის, 25, ტელ: 98-60-11.
სამკურნალო საქმე;
ჰიგიენა ეპიდემიოლოგია;
ფარმაცია;
ორთოპედიული სტომატოლოგია.

სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი
თბილისი, გრიბოედოვის, 10,
მედდის საქმე (ქართული და რუსული სექტორი).

ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი
ბათუმი, ფიროსმანის, 15, ტელ: 3-63-61.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი
ქუთაისი, კიევის ქ. № 10, ტელ: 6-94-19.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

ოზურგეთის სამედიცინო სასწავლებელი
ოზურგეთი, დოლიძის ქ. № 10, ტელ: 6-33-72.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

ფოთის სამედიცინო სასწავლებელი
ფოთი, ზარანდიას ქ. № 62, ტელ: 5-48-85.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელი
ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 8, ტელ: 6-16-62.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

თელავის სამედიცინო სასწავლებელი
თელავი, ნადიკვრის, 26, ტელ: 3-34-78.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

გორის სამედიცინო სასწავლებელი
გორი, სტალინის ქ. № 3, ტელ: 2-47-10.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი
ახალციხე, რუსთაველის ქ. № 105, ტელ: 2-14-93.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

ბორჯომის სამედიცინო სასწავლებელი
ბორჯომი, ვაშლოვანის შესახ. 66, ტელ: 2-17-78.
მედდის საქმე (საერთო პროფილი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ არასრული და საშუალო განათლება.

განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს: დოკუმენტი განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა 086 უ) და 5 ფოტოსურათი.

შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

საშუალო სკოლის ბაზაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), საბებიო საქმის, მედდის საქმის, სამკურნალო საქმის, დაწესებულებების მედდის და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სპეციალობაზე შემსვლელთათვის.

არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, წაკითხული ტექსტის შინაარსი), ანატომია (ზეპირი).

საბუთები მიიღება 20 ივლისამდე, ყოველდღე, კვირის გარდა, 15-დან 19 საათამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 20 ივლისს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი